


საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 5 იანვარი 30 1900 წ. № 5

ჟურნალ „ჯეჯილის“ № I დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს.



I

II



III



ინგლისის ჯარის სარდლები აფრიკაში

# პრესა.

I

Arსად, არც ერთ კულტურულ ქვეყანაში ისეთი ყალბი წარმოდგენა არ აქვთ პრესის (ჟურნალ-გაზეთობის) შესახებ, როგორც ჩვენში. პრესა—ეს საზოგადოების ხორცმეტია, ხალხის უკანონო შვილია, ცხოვრებაში ძალიან შემოტანილი სამკაულია, მაგრამ ამასთანავე საჭირო და აუცილებელია—აზროვნობს ქართველი. მას საშინლათ ძულს თავისი თავის კრიტიკა, თავის ნაკლულევანების შემჩნევა, თავისი ნამდვილი სახის დანახვა. ის უფრო ოცნებით, გადაბრუნებული წარმოდგენით სულდგმულობს და რაღა გასაკვირველია თავისი ვინაობაც ფანტანსტიურ ბურუსში გამოხვიოს. ის არ არის დარწმუნებული თავის ძალაში, თავის ღირსებაში და ამიტომ სხვისაგან ვერავითარ შენიშვნას ვერ ითმენს. ის თავისთავს ბუმბერაზათ სახავს და ამასვე თხოულობს ყველასაგან. ის თავის თავს ეალერსება და ატყუებს და ასეთსავე ალერსს და ფლიდობას ეძებს ყოველგან. აქეთ და ადიდეთ ის და თქვენ გადაიქცევით მის საყვარელ კაცათ, სულ ნუ მეგეხებით მას და თქვენ, თუ საყვარლათ არა, მეგობრათ მაინც მიგიღებსთ; მაგრამ თუ გაბედეთ და მისი თვისებები ეჭვის სასწორზე გაიტანეთ, ვაი თქვენი ბრალი, მასში ერთ დაუძინებელ მტერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუდამოთ მოიპოვებთ. და რადგანაც ყველა ერიდება მტერს და ეძებს მოყვარეს—ამიტომ საზოგადოებაში გამეფდა საერთო ფარისევლობა, პირში ქება-დიდება და პირს უკან ლანძღვა-გინება. მოქალაქობრივი პირდაპირობა და გაბედულობა განიდევნა, ეგოისტური თვალთ-მაქცობა და ანგარიშობა გაბატონდა. თითოეული თავის ბუდეში ზის და დარცხვენილი იხვეწება, თავი დამანებეთ, ხელი არ მახლოთო. ამით შემუშავდა ერთნაირი საზოგადო ატმოსფერა, სადაც ყველა ეტანება იმიტომ, რომ ეგები რამე ვიშოვნო დაშინ წავიღოვო. და ასე საზოგადო ცხოვრებას შემოდგომიან სხვა და სხვა სახის მცარცველები და თავისაკენ მიიწევ-მოიწევიან . . .

აი ამ საერთო დავარდნამ თან ჩაიყოლია პრესაც და ზედ საკუთარი ბეჭედი დაასვა. პრესა ხომ საზოგადოების უტყუარი სარკეა, ის ხომ მისი ღირსება-ნაკლულევანების მაჩვენებელია. ხოლო საზოგადოებას, როგორც ვთქვით, თავის თავის დანახვა არ სურს, მაშასადამე არ სურს არც პრესა. მაგრამ მეორე მხრით, პრესის უარის ყოფა თანამედროვე განათლების და კულტურის უარის ყოფაა, რაც ასე ეჩოთირებათ „განათლებულთ„. ცხადია, პრესა საჭიროც არის და არც არის საჭირო. საჭიროა—თუ ის იცნობს ამ მოთხოვნილებას და თავის სახეს საზოგადოების სახისამებრ გარდაქმნის. არ არის საჭირო—თუ ის ნამდვილ დანიშნულებას შეასრულებს ე. ი. დაცემულ ზნეობას გარეთ გამოიტანს და საზოგადოებას მიუთითებს, აი ვინ ხარ შენო. როგორიც ბაზარი იმნაირი საქონელი, როგორიც მუშტარი იმნაირი ვაჭარი. პრესაც მოიქნა ბაზრის თანახმათ, პრესაც მოიხარა მუშტრის მოსაზიდავათ. მისთვის ხელსაყრელი შეიქნა მკითხველის მოფერება და დაყვავება; მისთვის საზიანო შეიქნა მკითხველის გაჯავრება და გაგულისება. ზნეობა საზოგადოებისა გადაიქცა ზნეობათ პრესისა. იმანაც ისე დაიწყო ფარისევლობა და ორპირობა, როგორც კერძო პირმა. ჟურნალ-გაზეთობამ მიაგნო მკითხველის სუსტი მხარე, მისი გულის სიმები და მას თამამათ დაუწყო ჟღერა. გაზვიადება თავმოყვარეობის, დამალვა ნაკლულევანების, ქებათა ქება ერმანეთის—აი რა თავჩალმართ გზას დაადგა მწერლობა. დროშა სინათლის და გულ-ახდილობის ტალახში დაიფლა, დროშა სიბნელის და გულჩახვეულობის ჰაერში აფრიალდა. და ამ დროშის ქვეშ შემოკრბენ არა მარტო მკითხველთა ერთი ნაწილი, არამედ პოეტები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები—ერთი სიტყვით მწერლობის მეთაურები. იმათ, იმის მაგიერ რომ დაბნეული საზოგადოება შარაზე გამოეყვანათ, თითონ დატოვეს შარა და მას ამოუდგენ გვერდში. ჯარმა ჩაითრია წინამძღოლნი და თავის შორის გალესა. პრესას აებნა ყოველივე გზა კვალი და ტყუილა უბრალოთ აქეთ-იქით მიეხეტ-მოეხეტება. მან აღარ იცის, საით წავიდეს, რა თქვას, რა გააკეთოს. მან იცის მხოლოთ ერთი რამ, სახელდობ: არავის არ შეეხოს, ყველას მიეფეროს, ალერსიანათ მოეპყრას და მით გული მოინადიროს. მართალია ის ხანდახან ცდება ამ გზას და განგანზე მიუხვ-მოუხვევს, მარა ეს მოწმობს მხოლოთ ამ გზის სიძნელეს და არა მის არ არსებობას. ეს მიხვევა-მოხვევაც წარმოადგენს არა რაიმე დამჯდარ კრიტიკას და სალ მსჯელობას, არამედ უბრალო ლანძღვა-გინების მორევში შეტოპვას. კრიტიკა კაიხანია უარი ჰყვეს, ის მეტ ბარგათ იქმნა ალსარებული, ამიტომ ის ხმარებიდან გამოვიდა, ნიადაგი მწერლობაში დაჰკარგა და მწერლებიც მას გადაეჩვიენ. იმათ ეხერხებათ სამში ერთი: ან სრული სიჩუმე, ან ვისიმე თუ რისამე მეტისმეტი ქება და ან მეტისმეტი ლანძღვა-თრევა, მხოლოთ კრიტიკა არა და არა.

და აი, ამ ლანძლვას დაერქვა კრიტიკა და კრიტიკას ლანძღვა. ეს ორი მცნება ერთმანეთში აირია და მკითხველს ველარ გაუგია, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ამ გარემოებამ ერთიანათ გაათახსირა პრესა და დასცა საზოგადო აზროვნება. ის, ვინც თავის გულის მოსაფხანათ, მწერლობაში გამოვა, ერთ-ორს მაგრათ გამოილანძღება, კრიტიკოსი ჰგონიათ, ხოლო ის, ვისაც თავისი გულის ტკივილები, თავისი რწმენა და მისწრაფება კრიტიკის სახით მწერლობაში გამოაქვს, მლანძღველი ჰგონიათ! პატივისცემა რწმენის და უანგარობის დაიკარგა, პატივისცემა შურის და პირმოთნეობის გაიზარდა. და ეს იმ ზომამდე მივიდა, რომ პრესა ამ დავარდნილ აზროვნობისაგანაც კი ხანდახან პროტესტს იწვევს. საზოგადოებასაც წყინდება თავისი არარაობა და ამასვე თხოულობს პრესისაგანაც. მაგრამ პრესის გზა-კვალის გამოცვლა ისე ადვილი არ არის და ამიტომ ის ამ პროტესტსაც გულ-გრილათ იტანს. საზოგადოება რომ მართლა ამაღლდეს, ის მწერლობასაც აამაღლებს, ისე როგორც მან ის დაამდაბლა და თავის შინაყმათ გაიხადა. აშკარაა, მწერლობა, პრესა ველარ მეთაურობს საზოგადო ცხოვრებას და უბრალო სათრეველათ შეიქნა. და განა არ შეუძლია მას ნამდვილი მეთაურობა იტვირთოს? უეჭველია შეუძლია, და არა თუ შეუძლია, ის პირდაპირ ამისთვის არის მოწოდებული, მაგრამ აქ საჭიროა ის, რაც ჩვენებურმა პრესამ კაიხანია დაჰკარგა და ახალ გზაზე დაეშვა. საჭიროა პირველ ყოვლისა მტკიცე მიმართულება და აი, სწორეთ ეს უარჰყვეს მწერლებმა. მიმართულება—ეს მოდაში აღარ არის, ეს მოცლილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაქმო კაცის გამოგონილია; აი მთელი ფილოსოფია ქართველი ჟურნალისტის...

ამნაირათ, საზოგადოების გადამახინჯებულ გემოვნებას სრულიად დაემორჩილა პრესა და მას გამოუცხადა: მიბრძანეთ, რა მოგართვათო. უნდა მიერთმია, რასაკვირველია ის, რაც დაწყებულ უგზო-უკვლობას კიდევ უფრო არევ-დარევდა. და აი ლიტერატურის მოედანზე კიდევაც გაიმართა ნანატრი მეჯლიში, წინ გამოაწყვეს ნანატრი ტკბილეულობა და სტუმრებს ბავშებივით დაუწყეს წახალისება: აბა ნახე. რა გემრიელიაო. ამ საკენკის მოსანელებლათ არც ტვინის განძრევა იყო საჭირო და არც გულის ყურის მიტანება. პირდაპირ აიღე და გადაყლაპე — მორჩა და გათავდა. და ასე პრესა აყლაპვიებს თავის წვეულთ ყოველივე ხურდა-მურდას, რასაც ის "პუბლიცისტიკას", „კრიტიკას" და სხვა ასეთ დიდ სახელებს უწოდებს და რაც ყოველივე, ოდნავ მაინც, წესიერ მწერლობაში რედაქციის გოდორში განისვენებს. ამით ქართული პრესა ერთიანათ ჩამოშორდა უცხო ხალხთა პრესას, პრესას ცოცხალს და მოძრავს, და უსულგულოთ დარჩენილმა თავისი ხელით გაიკეთა კუბო, ჩავიდა შიგ, გულხელი დაიკრიფა და ახლა მხოლოთ წესის აგებას და დასამარებას ელის.

მაგრამ დასამარება ძველის ნიშნავს დაბადებას ახალის, და ეს არა მარტო პრესის, არამედ მისი მკითხველი საზოგადოებისაც. ჩვენმა ხალხმა უნდა წარმოშობოს ახალი მკითხველი, აილორძინოს ახალი გონებრივი მოთხოვნილება, გაიძლიეროს ახალი მისწრაფება და მით ბოლო მოუღოს ძველ დაობებულ პრესას და მასთან ერთათ ძველმკითხველსაც... და აი, სწორეთ დღეს ჩვენი ხალხი ამის მუშაობაშია, ის ნელა და მედგრათ მიექანება ამ გზაზე და შორს არ არის ჟამი მისი გამარჯვებისა და პრესის განახლების...

რას უნდა შეიცავდეს ეს განახლებული პრესა? მაგრამ ჯერ გავიგოთ: რას შეიცავდა ქართული პრესა დღიდან თავის დაწყებისა და რანაირათ გადასხვაფერდა ის დროთა მსვლელობაში.

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბები.

დღეს, 30 იანვარს, ქართულ თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა თფილისის საზალოსნო სკოლის მოწაფეთა სასარგებლოთ. იმედია ამ წარმოდგენას საზოგადოება ბლომათ დაესწრობა. წარმოდგენილი იქნება ,,სკაპენის ცუღლუტობა" და ,,ჯერ დაიხოცენ და მერე დაქორწილდენ".

—

კავკასიის შინათ მრეწველობის კომიტეტს განზრახვა აქვს, დააარსოს თავისი მუზეუმი, სადაც მოთავსებულ იქნება შინათმრეწველობის ნაწარმოებთა ნიმუშები.

—

მომავალ წელს თფილისში მართავს გამოფენას კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. გამოფენის პროგრამის შესადგენათ ცალკე კომისია იყო არჩეული. კომისიას უკვე დაუმთავრებია მუშაობა და პროგრამა წარუდგენია საზოგადოების საბჭოსათვის.

—

სამიწათ მოქმედო სამინისტროს განზრახვა აქვს, დაარსოს სამხრეთ რუსეთში და კავკასიაში სპეციალური სასწავლებლები მცოდნე და გამოცდილ მეცხვარეების მოსამზადებლათ.

—

გასულს წელს ბაქოდან გაუტანიათ ხუთას ოცდა ოთხი მილიონი და ორასი ათასი ფუთი ნავთი. ამ წელს 98 წელთან შედარებით ოცდა თვრამეტი მილიონი და ორასი ათასი ფუთით მეტი გაუტანიათ.

—

მთავრობა აპირებს, კავკასიაში გადასახადების შეცვლას. აქამდე თუ არსებობდა საკომლო გადასახადი, რომელსაც ჩვენი გლეხობა „ფოშტის ფულს" უწოდებს, და ღარიბსა და მდიდარ გლეხს სულ ხშირათ ერთნაირი გადასახადი ხდებოდა, აწი გადასახადი მიწაზე იქნება დადებული და, ვისაც მეტი და უფრო შემოსავლიანი მიწა ექნება, მეტიც მას გადახდება. შუათანა რიცხვით გამოანგარიშებული იქნება ყოველი მოსახლის შემოსავალი ადგილმამულიდან და ამ შემოსავლის 2% დაეწერება წლიურ გადასახადათ. რადგანაც ბევრი ჰყიდის ადგილს, ბევრი ყიდულობს, ამიტომ რასაკვირველია, საჭირო იქნება დრო და დრო გადასახადის ხელ ახლათ განაწილება. ეს რეფორმა შემოღებული იქნება 1901 წლიდან.

—

კახეთის რკინის გზის საქმე, როგორც იქნა გადაწყდა. კონცესიონერებმა ნ. დ. ჭავჭავაძემ და ინჟენერმა კ. ნ. სიმბერგმა მთავრობისაგან რკინის გზის გაყვანის ნება მიიღეს. გზის სიგძე 167 ვერსია, ზემო ავჭალის სადგურიდან წავა ახმეტაზე, თელავზე და სიღნაღზე საკობოს სოფლამდე. კონცესიის ვადა 60 წელია, შემდეგ გზა ხაზინის სრულ საკუთრებათ ხდება.

—

„ჯეჯილი"-ს რედაქციამ მიიღო 12 მ. თფილისის ტეხნიკური სკოლის მოწაფეებისაგან, რომ ამ ფულით რედაქციამ სამ სკოლას „ჯეჯილი" უგზავნოს განსვენებული გ. წერეთლის სახელობაზე. რედაქცია გაუგზავნის ჟურნალს შემდეგ სკოლებს: თფილისში — ნაძალადევის სკოლას, თელავის მაზრის აწყურის სკოლას და გომში — ვაყის სკოლას.

—

27 ამ თვეს ქართულ თეატრში გედევანოვის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქმნა „ურიელ აკოსტა" ვ. მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენას

დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო, თეატრში ტევა აღარ იყო. მობენეფისეს საჩუქრები მიართვეს, პიესის თამაშს საერთოთ არა უშავდარა, ხოლო აქაიქ კი ძალიან კოჭლობდა.

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ჟურნალის ამავე ნომერში ვათავსებთ ტრანსვაალის რუქას, სადაც ამ ჟამათ ინგლისელთა და ბურების ომია გამართული. ამ რუქის *) უფრო გასაგებათ და ომის შესაგნებათ აქ მკითხველს გავახსენებ ამ ომის მოკლე ისტორიას.

ინგლის-ტრანსვაალის ომი გამოცხადებულ იქმნა 29 სექტემბერს. ტრანსვაალის და ორანჟის რესპუბლიკას მუდმივი ჯარი არა ჰყავთ, მხოლოთ ომის დროს თითოეული მოქალაქე მოვალეა მრძოლის ველზე გამოვიდეს. ამისათვის ისინი ბავშობიდანვე ეჩვევიან თოფის სროლას და ცხენის ტარებას. 30 სექტემბერს რესპუბლიკის მთავრობამ ბრძანება გასცა: ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლია, გამოვიდესო. ამ ხმაზე გამოვიდა 60 ათასამდის მეომარი ე. ი. თითქმის ყველა მამაკაცი—15 წლიდან დაწყებული 60 წლამდე. მთავრობა უკვე მზათ იყო თოფებით, წამლით, ტყვიებით ერთი სიტყვით ყოველივე საომარი მასალით. ამ დროს ინგლისს ძალიან ცოტა ჯარი ჰყავდა საზღვრებთან. ის ომს არ მოელოდა და ამიტომ ვერც საკმაო ჯარების გაგზავნა მოასწრო. მისი ჯარები იდგა შემდეგ ადგილას: კიმბერლეიში—3000 კაცი, უმრავლესობა თავისუფალი ჯარის კაცი (ვოლონტიერა), მეფეკინგში—1500; ნატალის პროვინციაში 13, თუ 14 ათასი. ეს იყო და ეს. ომის გამოცხადებისთანავე საჩქაროთ გაიგზავნა 50 ათასი მეომარი (ნუ დაივიწყებთ, რომ ინგლისიდან იქამდის 7 ათასი ინგლისური მილია ზღვაზე სასიარულო). ჯარების მთავარ სარდლათ დაინიშნა ღენერალი ბულერი. ხოლო დივიზიის უფროსებათ ღენერლე-

*) ეს რუქა შეადგინა განსვენებულმა გ. წერეთელმა და უნდა გამოსულიყო მეხამე ნომერში, მარა არ დასცალდა... ჩვენ ჩავურთეთ მხოლოთ მერმინდელი ამბების ადგილები.





ეროვნული

ბი მეტუენი, გატაკრი, გლერე, უაიტი, უორენი და სხ. ბურების ჯარები შემოადგენ ნატალის პროვინციას სამი მხრით: ჩრდილოეთით—ჟუბერის მთავრ სარდლობით 10—12 ათასი კაცი, დასავლეთით - მელვიჯენის სარდლობით იმდენივე კაცი, ხოლო აღმოსავლეთით იდგა ლუკა მაიერი თავისი 4—5 ათასი მეომრით. სულ 25 ათასი. ინგლისის ჯარები უაიტის სარდლობით აქეთ მოაწყვეს, რომ ბურებისათვის გზა გადაეღობათ. 4 ათასი დაბანაკდა დენდის ახლო, 9 ათასი ლედისმიტში, 420 კოლენზოში, 200 სკორტში და 1500 პიტერმირცბურგში, სულ 15 ათასი. ასე პირისპირ დადგნენ ორივე მტრები. 8 ოქტომბერს მოხდა პირველი შეტაკება, საიდანაც გამარჯვებული გამოვიდნენ ინგლისელები, მხოლოთ გენერალი სიმონსი სასიკვდილოთ იქმნა დაჭრილი. მეორე დღეს ლედისმიტის ცოტა ზევით, ელანდსლაგტეში, ინგლისელებმა კიდევ დაამარცხეს ბურები და იქიდან განდევნეს. 13 ოქტომბერს ინგლისის ჯარები დაბანაკდენ ლედისმიტში. ამ დროს ბურების ჯარები ერთათ მოგროვდენ და ჟუბერის წინამძღოლობით გარს შემოერტყენ ლედისმიტს და დღევანდლამდის გარშემორტყმულია. ამნაირათ, ბურებმა დაატყვევეს ქალ. ლედისმიტი თავის ჯარებით.. ამით ბურები ერთიანათ გადმოვიდნენ ინგლისის სამფლობელოში და ომის ასპარეზიც აქაურობა შეიქნა.

მერმინდელი მოძრაობა ინგლისელთა მიმართულია უმთავრესათ ლედისმიტის განთავისუფლებისაკენ. ინგლისიდან გაგზავნილი ჯარები უნდა გასულიყვენ მდინარე ტუგელის გაღმა და იქიდან ლედისმიტში. მაგრამ ბურებმა მოასწრეს და მთელი თავისი ჯარები, გარდა ლედისმიტის გარშემომდგართა, ტუგელის ნაპირებზე მიუვალ მთებში დააყენეს. გარდა ამისა, ბურებმა რაკი დაინახეს, რომ ინგლისელთა ჯარები რიცხვით მათ ჭარბობს, ამიტომ მათ მიმართეს ეგრეთ წოდებულ პარტიზანულ ანუ სათარეშო ომს. თითო კოლონა აქა-იქ დაეცემოდა ინგლისელთ და დიდ ზარალს აყენებდა. ბურები დგანან მთებში და თხრილებში, ინგლისელნი კი ვაკე ადგილებზე, ისინი ხედავდენ ამათ და მიზანში ამოღებულათ ებრძოდენ, ინგლისელნი კი ვერ ხედავდენ და ისე იძულებული იყვენ, ხშირათ უჩინარ მტრებთან ებრძოლათ.

საყურადღებო ომები მოხდა შემდეგ ადგილებში: 19 ოქტომბერს დენდში, დამარცხდენ ინგლისელები; 11 ნოემბერს ბელმონტში, დამარცხდენ ბურები. 16 ნოემბერს მედერრივერასში, დამარცხდენ ინგლისელები, 500 კაცი მოუკლეს თუ დაუჭრეს, დაიჭრა გენერალი მეტუენი; 28 ნოემბერს სტრომბერგში, დამარცხდენ ინგლისელები, 500 ინგლისელი ტყვეთ ჩაუვარდა მტრებს; 2 დეკემბერს თითონ ბულერი შეება ბურებს კოლენზოსთან, მაგრამ უკუ იქცა, დაჰკარგა 1,100 კაცი მოკლული, დაჭრილი თუ ტყვე: ბურების სიმაგრის აღება ყოვლად შეუძლებელი—გახდა. აი მაშინ ჯარების უფროსათ ბულერის მაგიერ დაინიშნა ლორდი რობერტი. ამასთანავე ინგლისიდან გაიგზავნა მეშვიდე და მერვე დივიზია.

ბულერი დაბრუნდა ჩივილეში. ამ დღიდან ინგლისელებმა შეცვალეს ტაქტიკა, წვრილ-წვრილ შეტაკებას მოერიდენ და ტუგელის გაღმა გადასასვლელათ დაიწყეს მზადება, ხოლო იქიდან ლედისმიტის გამოხსნა შესაძლებელი იყო. ჩიველეში შეერთდენ ინგლისის რამოდენიმე დივიზია და შეუდგენ ტუგელაზე გადასვლას. რამდენიმე ადგილას გააკეთეს ხიდები და გენერალი უორენი თავის დივიზიით გადავიდა მდინარის გაღმა და დაბინავდა სპიონსკოპთან. უორენს შეუერთდა ბულერიც და 35 ათასი მეომრით მიუახლოვდენ ლედისმიტს, მაგრამ ჯერ საჭირო იყო აღება სპიონსკოპის, გარღვევა ბურთა ჯარების და მერე ლედისმიტთან ბურების მეორეთ გარღვევა და ქალაქის განთავისუფლება (იხილე რუქაზე ჯარების მდგომარეობა). ამნაირათ, ინგლისელთათვის აუცილებელი იყო ორი დიდი ბრძოლა. და აი გასულ კვირას მოხდა პირველი დიდი ბრძოლა სპიონსკოპთან. სპიონსკოპის მთას სიმაღლე აქვს 680 საჟენი. აი ამ მთებშია ლედისმიტისაკენ გასავალი გზა, მაშასადამე მთელი ბრძოლა ამ გზის გარშემო უნდა დატრიალებულიყო. ბრძოლა დაიწყო შაბათს 15 ამ თვეს და ინგლისელებმა პირველ დღესვე აიღეს რამდენიმე გორაკები და წინ წაიწიეს 6—8 ვერსტით. მეორე დღეს, კვირას, უორენის ჯარები იბრძოდენ მთელ დღეს მარცხნივ და რამდენიმე ვერსტით კიდევ წინ წაიწიეს. ორშაბათს შეისვენეს ორივე მხრით. სამშაბათს ხელახლა ატყდა ზარბაზნების სროლა და უორენმა ბულერის თანხმობით დაიჭირა სპიონსკოპი. ახლა ბურებმა შეცვალეს ტაქტიკა, თუ აქამდის დაუნახავი ადგილებიდან ისროდენ, ახლა კი გამოვიდენ თავისი საფარებიდან და ოთხშაბათს იერიში მიიტანეს ინგლისელებზე ჯერ ვაკე ადგილებით და მერე თანდათან აიწიეს გორაკებზე. ინგლისელთა ზარბაზნების ცეცხლს ქვეშ ნელა, მაგრამ მედგრათ წინ მიდიოდენ ბურები, თითოეულ ნაჭერ მიწას, ინგლისელთაგან წართმეულს, უკან იბრუნებდენ. ისე რომ ერთ წუთსაც უკან არ დაუხევიათ. ინგლისელების პირველი თხრილი აიღეს და 150 მტერი ტყვეთ წაიყვანეს. რაც. უფრო წინ მიდიოდენ, ბრძოლა მით უფრო მწვავდებოდა, მაგრამ ბურებმა საარაკო ენერგია გამოიჩინეს და ხუთშაბათს ღამით ინგლისელები სპიონსკოპიდან გადარეკეს. უორენი და ბულერი დამარცხებულნი უკან დაბრუნდენ, ტუგელას გაღმა გამოვიდენ.

ამნაირათ. ლედისმიტი ისევ გაუნთავისუფლებელი დარჩა. უკანასკნელი ტელეგრამები იუწყებიან, რომ ბულერი სხვა გზით აპირებს ლედისმიტისაკენ წასვლასო. ვნახოთ.

ომის დაწყებიდან დღევანდლამდე, გაზეთების სიტყვით, ბურების მხრივ მოკლულ იქმნა 212 კაცი, დაჭრილია 582, ტყვეთ წაიყვანეს ინგლისელებმა 200. ინგლისელების მხრივ მოკლულია 3,000 კაცი, ამდენივე დაჭრილია, ხოლო ტყვეთ ჩაუვარდათ ბურებს 2,000 კაცამდე.

—

27 იანვრის ტელეგრამა იუწყება: ბულერი კვლავ გადავიდა ტუგელას გაღმა, ბურების ჯარები დაამარცხა და ლედისმიტისაკენ გაემგზავრაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კვალის“ კორესპონდენციები

დ. **ზესტაფონი.** დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ზესტაფონის მიდამო, სადაც დღეს მოზრდილი დაბაა გაშენებული, იყო დაფარული ტყითა და მინდვრებით, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მიმდინარეობამ დაჰბადა და აღზარდა დღევანდელი ჩვენი ზესტაფონი. დასავლეთიდან იწყო შემოსვლა რკინის გზის ლიანდაგმა, და მას აქეთ იწყება ზესტაფონის ფრთების შესხმა. ჯერ იმატა ვაჭართა და სავაჭროთა რიცხვმა. რკინის გზის წყალობით გაადვილდა საქონლების მოტანა, და აქაურ სოფლელებს აღარ დაჭირდათ საქონლის საყიდლათ ქუთაისში გამგზავრება; ზესტაფონმა მიიზიდა ზემო იმერეთის მუშტარი, რომელმაც ხელი შეუწყო აქაური ჩარჩების გამდიდრებას. პატარა ზესტაფონის კუთხემ ამ ნაირათ კონკურენცია გაუწია, მუშტარი ჩამოაკლო იმერეთის დედა ქალაქ ქუთაისს. აქაურ წინანდელ ჩარჩ-ვაჭრებს დღეს ჩვენ ვხედავთ ჯიბე დატვირთულ კაპიტალისტებათ. ის ძველი ზესტაფონი, სადაც ორიოდე დატაკი სავაჭრო ქოხი იდგა, დღეს დაბათ მოინათლა და ეს დაბაა ზემო იმერეთის სავაჭრო ცენტრი. ზესტაფონელი ფულის საშოვარ ულელშია გაბმული, მითი ის ვაჭრის მაგარ ფრთებს ისხამს, ამეფებს ვაჭრულ ცივილიზაციას და აფითარებს მას მომავლისათვის. აგრეთვე იზიდავს ზესტაფონი ზემო იმერეთის სოფლურ ნაწარმოებსაც; კვირაში ორჯერ ხდება ბაზრობა, პარასკევს და კვირას, განსაკუთრებით კვირას დიდი ბაზარი იმართება. აქ მოილტვის სოფლელი, იგი ვაჭრობს, შემოჰყავს გასაყიდათ: ხარი, ცხვარი, ღორი, ინდოური, ბატი, ქათამი, შემოაქვს სიმინდი, ლობიო, ფქვილი, სხვა და სხვა ხილეულობა, ღვინო; ღვინოს ყველაზე მეტს შეხვდებით. სოფელში რომ რაიმე მოთხოვნილება მიადგება გლეხს, ის ღვინის იმედით იკმაყოფილებს: „წავალ ზესტაფონს, ორ დოქ ღვინოს გავყიდი და გავისტუმრებო“, ამბობს გლეხი, მაგრამ საუბედუროთ ეს მათი სიქადულო იმედიც ისპობა თანდათან. დღემდის ზემო იმერეთში მევენახეობას გარდა არავითარ ცხოვრების საშუალებას არ შემოუდგამს ფეხი. წინეთ იშვიათათ დაინახავდით აქაურ სოფლელ ქალებს ზესტაფონის ბაზარზე სავაჭროთ გამოსულს: „ღმერთო მამკალი, სირცხვილია, იარმუკაში დავჯდები ხალხში და ისე ვივაჭრებ“? მხოლოთ დღეს ვხედავთ, რომ ცხოვრება თანდათან სპობს მათ „ღმერთო მომკალი, სირცხვილია“-ს და სხვა და სხვა შინაური მოთხოვნილებისა გამო თავბრუ-დასხმულნი და დაწიოკებული დედა-ქალები და ქალიშვილებიც გამოდიან ბაზარზე და აქ ჰყიდიან თავიანთ სოფლურ იაფ ფასიან ნაწარმოებს: საჩოხე შალს, საყაბალახეს, შალის წინდებს, ბამბას, ბამბის სამოსელს, და მრავალ სხვას. აი ზესტაფონის ბაზარი ამაებს აქცევს ფულათ.

ამ ნაირათ ზესტაფონი იზრდება ნივთიერი ქონებით, ზესტაფონს ემატება ვაჭრები და მცხოვრებლები. წელ-გამაგრებულია ეკონომიურათ ზესტაფონელი, იგი ფულმა გააბატონა, ფული შეიქმნა მისი თაყვან საცემი, ფულმა მაგნიტურათ მიიზიდა იგი, რომელმაც კიდევაც აცრუებინა სწავლა-განათლებაზე გული. სწავლა-განათლებაში ზესტაფონს უჭირავს სულ მცირე და უკანასკნელი ალაგი. ამდენი ხანი გადის და ზესტაფონს ერთი ორკლასიანი სავაჟო სასწავლებლისა, და ერთი სამრევლო სკოლის მეტი არა აბადია რა, ესეც ნახევრათ სოფლელების ფულით დაარსებული. საქალებო სასწავლებელი, საკვირაო სკოლა, სრულიად არ არსებობს, მართალი რომ ვთქვათ ბევრი არც სხვა ქალაქების სასწავლებლებში იზრდებიან ზესტაფონელი ქალ-ვაჟები. ზესტაფონელი ვაჭარი თუ ასწავლის შვილს ისიც აქაურ სკოლაში. შემდეგ დუქანში უკრავს თავს. რადგანაც ზესტაფონელის სიტყვით, „ვაჭრობის ფასი ქვეყანაზე არაფერია“. ძლივს ზესტაფონს ახალი წიგნთ-საცავ-სამკითხველო ეღირსა და ზესტაფონელ ვაჭრებს ეს რაღაც სამასხარაო საგნათ მიაჩნიათ, შემოწირულებისათვის ხომ არ შეიწუხებენ თავს; ხედავთ სამკითხველოს წინ გავლილ-გამოვლილ, ჯიბეებში ხელ-ჩაყოფილ ზესტაფონელს, იგი რაღაც უსიამოვნო სახით მოიხედავს სამკითხველოსკენ, ტუჩაბზუებული გვერდით ჩაუვლის, მას არაფერი არ აინტერესებს, ის მხოლოთ მუშტარს უცდის, მის მოლოდინშია. სამკითხველოს არ ეძებს, ის მისთვის არც ფულს დაჰკარგავს და არც დროს, თუმცა სამკითხველო, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ გვარიანია. ის იწერს რამოდენიმე ჟურნალ-გაზეთებს: „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „Журналъ для всѣхъ“, „Знамя“, „Нѣделя“, „Черноморскій вѣстникъ“, „Сѣверный курьеръ“.

აქაურ წიგნთ-საცავზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ღარიბია, წიგნები რაც არის, ისიც ძველის ძველი დროისაა, ზოგი სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და თანამედროვე წიგნები კი ძლიერ ცოტა მოიპოვება. ცუდს არ იზამს აქაური პატივცემული საზოგადოება, რომ წიგნთ-საცავს ზედ-მეტს შემოწირულებას აღმოუჩენდეს ფულით თუ კარგი წიგნებით და მით გააუმჯობესებდეს, როგორც წიგნთ-საცავს ისე სამკითხველოსაც...

ამ ნაირათ ზესტაფონი მოკლებულია ჯეროვან სწავლა განათლებას. ვაჭრობა, ჩარჩ-ბაცაცობა, აი ზესტაფონის სატრფიალო საგანი.

ზესტაფონი ქონებრივათ საყურადღებო, გონებრივათ გაუფითარებელი დღესაც არ ცდილობს რომ სწავლა-განათლების გზას დაადგეს.

ვისურვებთ, რომ ზესტაფონს დღევანდელი სიბნელის ბურუსი მოეშორებინოს თავიდან და ნივთიერ სიმდიდრესთან გონებრივი სიმდიდრეც მალე შეეძინოს და წარსულიყოს ახალი ცხოვრების გზაზე.

„ა—ლი“.

—

**ქ. ოზურგეთი.** ამ 1900 წლის დამდეგს აქ ორი სხვა და სხვა ამხანაგობების კრებები მოხდა. პირველათ, ოთხ იანვარს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის მმართველებმა მოიწვიეს ამხანაგობის წევრები საქმის განსახილველათ. მართლაც 4 საათზე მამა დავით ღუმბაძის თავჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობით გაიხსნა კრება და საზოგადოებას მოხსენდა ყოველივე ანგარიში. აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას 1899 წლის განმავლობაში მოუგია 843 მ. 11 კ. ამ ფულებიდან 94 მ. 30 კ. გადიდვა სათადარიგო თანხისთვის. დივიდენდათ დარიგდა სრულ პაის პატრონზე 449 მ. 54 კ., ოთხი მანეთი თითო პაიზე. გამგეობას შრომის ფასათ 210 მ. 78 კ. პეტერბურღის კომიტეტს 5 მ. ხოლო დანარჩენი 83 მ. 49 კ. კი უნდა მოხმარებოდა რაიმე საქველ-მოქმედო საქმეს. ცოტა ბაასს შემდეგ გადაწყდა, რომ ეს ფულები მიეცეს შუაზე განაწილებით აქაურ სამინისტრო და სასულიერო დედათა სასწავლებლებს. ამას შემდეგ არჩეულ იქნა ერთი გამგეობის წევრი ნაცვლათ დიმიტრი ცეცხლაძისა, მ. თუმანიშვილი, კომიტეტის წევრათ ნაცვლათ მამა გიორგი თოხაძისა, ივლიანე ჯაყელი. კრებაც დაიშალა.

ეს კი უნდა ვთქვათ, რომ გამგეობა ამ ცოტა ჯილდოთი შარშანაც და წელსაც გულ ნაკლულათ დარჩა. სასურველია გამგეობას მეტი პრაცენტი დაენიშნოს მოგებიდან, რადგანაც საქმეს თავდადებით და ენერგიით ემსახურებიან. უშრომლათ ხომ საქმე არ კეთდება? მაშ მშრომელსაც შრომის ფასი ეკუთვნის, რომ კიდევ უფრო კარგათ წაიყვანონ საქმე. აგრეთვე მადლობის ღირსია დ. ცეცხლაძე ამდენ ხანს ამხანაგობის სამსახურისთვის და ფეხზე დაყენებისთვის.

9 იანვარს მოხდა თავისუფალ ეტლთა წარმოების ამხანაგობის კრება. კრებაზე გამოაცხადეს, რომ ფულათ გვაქვს 1868 მ. 22 კაპეიკით. დივიდენდს დავირიგებთ ათ ათ მანეთს თითეულ წევრებსო, ხოლო პაი 20 მ. მაგიერ 50 მ. ღირს. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარემ ბ. ანტონ ღლონტმა ქაღალდი მისწოდა წევრებს და თხოვა აერჩიათ ახალი გამგეობა და რევიზიის წევრებიც. მაგრამ დივიდენდისაგან გატაცებულებმა ერთ ხმათ იყვირეს თითქმის: არ არის საჭირო კენჭი, ისევ ყველა ძველები დარჩესო. მაშინ ბ. ნ. თავდგირიძემ განუმარტა, რომ ამნაირი არჩევა ჩაითვლებოდა უკანონოთ, რადგან შესაძლებელი იყო გამორჩენოდა ისეთი, რომელსაც არ სურდა ძველი გამგეობა, ხოლო პირადათ კი ვერ თქვა ეს და კენჭით კი შეეძლო. ამიტომ დარიგდა ისევ ქაღალდი, ამორჩევით ისევ ძველები ამოირჩიეს, როგორც მმართველობა ისე რევიზიის წევრები. ეს მერვე წელიწადია რაც არჩეულ იქმნა მმართველათ ბ. რ. წუწუნავა, რაიც დამამტკიცებელი საბუთია საზოგადო საქმის სინდისიერათ სამსახურისა. მადლობის ღირსია აგრეთვე კაინტორ შავიშვილი, რომელიც დიდიხანია ხაზინადრათ არის ამორჩეული და უსასყიდლოთ ემსახურება ამხანაგობას. დასასრულ უნდა ვთქვათ; რომ მმართველს ამხანაგობისას და სტაროსტას ეძლევა ერთი და იგივე ჯამაგირი. რატომ ივიწყებს საზოგადოება იმ კაცს, რომელიც ექვს წელიწადს თავ გამოდებით ემსახურა ამხანაგობას 20—და 25 მ, ?!.

ს. თავართქილაძე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჟურნალ „მოამბის“ 1899 წ. დეკემბრის ნომერში, რომელიც მეოცე საუკუნეში გამოვიდა და რომელშიაც ამ ახალი საუკუნის ამბები ისეა მოთხრობილი, ვითომც ეს მეცხრამეტე საუკუნეში მომხდარიყოს, თავადი კიტა აბაშიძე, როგორც ეს ახლათ გაყოყოჩებულს შეჰფერის, „ჩოთქავს“ აკაკი წერეთელს. მოიჯერა რა გული უშვერი ლანძღვა-გინებით, თ-დმა კ. აბაშიძემ დაასკვნის:

„შემდეგისათვის უხერხულათ (ოღონდაც!) მიგვაჩნია იმასთან (აკ. წერეთელთან) ლაპარაკი. ჭორიკანობა და ინტრიგანობა, ცილისწამება და პასკვილი აბა რა ჩვენი საქმეაო“.

სწორეთ ამაზეა ნათქვამი ფიცი მრწამს, მაგრამ ბოლო კი მაკვირვებსო.—მაგრამ ერთი რათ მოვიმდურო, თუ მეორე არ მოვიმადლიეროვო, და კიდევაც შესდგომია თ. ილია ჭავჭავაძის ქებათაქებას. აი როგორი რეკომენდაციას უწევს ის თ. ი. ჭავჭავაძეს:

„ჩვენი მისდამი (ე. ი. ჭავჭავაძისადმი) პატივისცემა და თაყვანის ცემა დაფუძნებულია მაზედ, რომ ეგერთათ ერთი კაცია ჩვენში, რომელიც გონების სიფხიზლითა და სიყვარულით, შეგნებულათ და კეთილის ენერგიით ეკიდება საზოგადო საქმეს. შეიძლება... მასაც შეცდომები ჰქონდეს თავის საზოგადო მოღვაწეობაში, მაგრამ ამ შეცდომების წყარო თავის დღეში არ ყოფილა პირმოთნეობა; არც შური და არც ინტრიგისა და ჭორიკანობის და ლუკმა პურის შოვნის სურვილის შედეგი ყოფილა ხოლმე მისი ამგვარი შეცდომებიო“.

მოდით და აბა ამის შემდეგ ყველა ამაებს მარგალიტათ ნუ მიიღებ და უმეტესათ მაშინროცა მას ქადაგებს ისეთი კაცი, როგორიც თ-დი კ. აბაშიძეა. მტერი იმდენს ვერას დააკლებს, რამდენსაც მოყვარეო, – ამაზეა ნათქვამი.

—

ყველასათვის ცნობილია ის მოვლენა, რომ ქართველ თავად-აზნაურობას მიწა-წყალი თან-და-თან ეცლება ხელიდან. ამიტომ თავისთავათ იბადება ასეთი კითხვა: ვის ხელში გადადის ეს მიწა? აი სწორეთ ამ საგანს ეხება ბ-ნი Эль-ი პეტერბურღელ გაზ. „Сѣв. Курьеръ“-ში (№ 68. „Крестьянскія Земелныя покунки въ Грузіи“). ავტორს პირველათ მოჰყავს ამ საგნის შესახებ ბ-ნ გ. მაიაშვილის აზრი, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ ამტკიცებდა:

„უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიწა თანდათან ეცლება ხელიდან თავად-აზნაურობას და გადადის გლეხ-კაცობის ხელში, რომელიც მას ძლიერ ეტანება. და ერთხელ თუ ჩვენმა გლეხმა ჩაიგდო ხელში მიწა, უსიკვდილოთ ის მას აღარ მოეშვება... ამ გზით ადრე თუ გვიან თავად-აზნაურობის ყველა მიწები გლეხ-კაცობის ე. ი, **ნამდვილ მუშაკთა**, ხელში გადავაო“.

ბ-ნი Эль-ი ჭეშმარიტათ აღიარებს ყველასაგან ჭეშმარიტათ აღიარებულ ფაქტს, თავად-აზნაურობას ეცლება ხელიდან მიწაო, და რომ ეს მიწა გლეხ-კაცობის ხელში გადადის, მაგრამ ის არკვევს, ვინ არის ეს გლეხ-კაცობა? საერთოთ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხ-კაცობაა ასეთი ბედნიერი, რომ თავად-აზნაურობის მამულის მემკვიდრე ხდება, თუ ამ გლეხ-კაცობის ერთი ჯგუფი, ჯგუფი უფრო მდიდარი და უფრო შეძლებული? სტატისტიკური ცნობებით ქუთაისის გუბერნიდან ის ამტკიცებს, რომ სწორეთ გლეხ-კაცობის ეს შეძლებული ნაწილი იძენს თავად-აზნაურობის მიწას:

„სტატისტიკური ცნობებიდან—ამბობს ის —ჩვენ ეხედავთ როგორც მეთხმოცე ისე მეთხმოცდა ათე წლების პირველ ნახევარში ჭარბობს წვრილ ნაყიდობათა რიცხვი, შემდეგ იმათი რიცხვი კლებულობს, კლებულობს აგრეთვე შუათანა ნაყიდობათა (მიწის) რიცხვი. მაშინ როდესაც მსხვილ ნაყიდობათა რიცხვი ერთი ორათ და ერთი სამათ მატულობს... მაშასადამე თუ წინა წლებში მიწას ყიდულობდა შედარებით უფრო სუსტი ნაწილი გლეხ-კაცობისა, ახლა კი მიწას ეტანება უმეტესათ გლეხ-კაცობის უფრო **შეძლებული ნაწილი**... ესევე ხდება რუსეთის გლეხ-კაცობის ცხოვრებაშიაც ე. ი. ის, რომ დღეს მიწას იძენს სოფლის **ბურჟუაზია**... გლეხ-კაცობა, როგორც ერთი მთელი, დღეს ფიქციაა; ნამდვილი არიან ის ჯგუფები, რომლებიდანაც იგი დღეს შედგება,—ე. ი. სოფლის **ბურჟუაზია** და **სოფლის ბოგანო**. ის ვინც ცდილობს დაიცვას მთელი გლეხ-კაცობის ინტერესები და იმავე დროს უარჰყოფს საქართველოს სოფელში მეორე ჯგუფის არსებობას, უეჭველია პირველს (ე. ი. სოფლის ბურჟუაზიას) ეტანება“...

აქედან ცხადია, ვის უგალობს ბ. გ. მაიაშვილი, ვის ინტერესებს იცავს იგი და ვინ მიაჩნია მას „ჭეშმარიტ მუშაკათ“...

## ჩვენი სიტყვა კაზმული ლიტერატურა 1899 წელს.

ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური მსვლელობის შესახებ ჟურნალ-გაზეთობაში და საზოგადოებაში, კარგახანია, ორ გვარი აზრი არსებობს; პირველი აზრით ჩვენში წოდებები ისპობიან, მათ მაგიერ იბადებიან სხვა და სხვა სოციალური კლასები, ჩვენი ცხოვრება კაპიტალისტური წარმოების გზას დაადგა; წოდებათა მოსპობა და კლასების გაძლიერება იგივე ჩვენი ერის გაძლიერება არის. მეორე აზრის მიმდევარნი გაიძახიან: კაპიტალიზმი ჩვენში არც არის, არც შემოვუშვებთ; წოდებების მოსპობას ღმერთმა ნუ მოგვასწროს: გლეხმა უნდა იგლეხოს მხოლოთ, აზნაურმა იაზნაუროს, თავადმა ითავადოს,—ჩვენი ძლიერება მხოლოთ წოდებათა ჰარმონიულ განვითარებაშიაო. გაზეთი „ივერია“ უკანასკნელი აზრის მიმდევარია, თუმცა ღმერთმა ის ფრიათ სუსტი ძალ-ღონით დააჯილდოვა თავისი აზრების გასავრცელებლათ. პუბლიცისტური ნაწილი მასში ყოველთვის სუსტი იყო და ამ უკანასკნელ დროს ისე მიილია, რომ ხამ მკითხველს რომ ჰკითხოთ, რა მიმართულების არის „ივერიაო“, პასუხის მოცემა გაუჭირდება. რაც შეეხება ბელლეტრისტულ განყოფილებას, 98 წელს არც ერთ ჩვენ ჟურნალსა და გაზეთს არ მოუცია იმდენი მასალა ზემოხსენაბული პირველი აზრის დასამტკიცებლათ ე. ი. „ივერიის“ გასამტყუნებლათ, რამდენიც თვით „ივერია“-მ. „ივერია“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ბელლეტრისტულ ნაწილში ის არღვევდა მას, რასაც პუბლიცისტიკაში ქადაგებდა. ასეც უნდა მომხდარიყო: „ივერია“ ყოველ დღიური გაზეთია, მაშასადამე მას საშუალება აქვს, გაცილებით მეტი ბეჭდოს ბელლეტრისტული ნაწარმოები, ვიდრე სხვა ჟურნალ-გაზეთობას,—ყოველი ბელლეტრისტი კი, რომელიც ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას ხატავს, რაც უნდა სუსტი ნიჭის პატრონი იყოს, თუ ფაქტებს განგებ არ დაამახინჯებს, იმისი დამარღვეველი იქნება, რასაც ივერია და მისი თანამოაზრენი ქადაგებენ. საჩოთირო მდგომარეობის ასაცილებლათ მხოლოთ ერთი გზა ღა დარჩენოდა „ივერიას“: ან უნდა მიეტოვებია თავისი უნიადაგო შეხედულება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ან ურჩი ბელლეტრისტიკა გაეძევებია. და აი, „ივერია“ ამ მეორე გზაზე შემდგარა: მან ამჯობინა ცხოვრების უარყოფა და უნიადაგო მოძღვრების შერჩენა ე. ი. ჭეშმარიტების განდევნა. როდესაც გადავიკითხე წარსული წლის „ივერიის ბელლეტრისტიკა, იქ აღარ შემხვდენ ის მწერლები, რომლებმაც 98 წ. უკვე მიიქციეს მკითხველის ყურადღება, მასში ვეღარ ვნახე ვერც ერთი მოთხრობა, რომელიც რაიმე მხრივ ყურადღების ღირსი იყოს; რამდენათაც მდიდარი იყო 98 წ. „ივერიის“ ბელლეტრისტიკა და საყურადღებო, იმდენათ ღარიბი და უმნიშვნელო 99 წელს. მაგრამ უკაცრავათ: „ივერიის“ ფურცლებზე აღმოვაჩინე „დუშელი ვანო“, რომელსაც გენიოსური საშუალებისათვის მიუგნია სულიერი მოძრაობის გამოსახატავათ; ეს საშუალება გახლავთ—წერტილები! უსწავლია წერტილების დასმა, მოწონებია არაგვისპირელის მოთხრობების სათაურები და თამამათ ჰქელავს „ივერიის“ ფურცლებს. მისი მოთხრობები მეტათ ორიგინალურია: ნაწერზე წერტილები მეტია!

ამ ბოლო დროს, რამდენათაც ვიცით, პირველათ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ივ. ბ—ლი, რომლის ვრცელი მოთხრობა: „ქუნჩუკის ნახტომი“ ივერიაში იბეჭდებოდა. მოთხრობა ნიჭიერათ არის დაწერილი, მაგრამ მოთხრობის თემათ ცალიერი წარსული ცხოვრების აღებას მკითხველისათვის ძალიან ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ზემოხსენებულ მოთხრობას არც ჩვენ ვეხებით ვრცლათ. ყოველი ნიჭიერი კაცი დღეს ჩვენთვის ფრიად საჭიროა და ამიტომ ბ-ნი ბ—ლი ისევ ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას რომ დაუკავშირდებოდეს, თანამედროვე ჭირ-ვარამს რომ გაგვითვალისწინებდეს და დღევანდელი ქართველის გულსა და სულში

ჩავეახლდებოდეს, გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

წარსული წლის „კვალი“-ს ბელლეტრისტთა შორის [1]) საყურადღებო იყო ელ. წერეთელი. მან მოათავსა „კვალში“ რამოდენიმე მოთხრობა, რომელთა შორისაც „ბედნიერება“ და „იდეალი და ცხოვრება“ განსაკუთრებით საყურადღებონი არიან იმ დედა აზრით, რომელიც მათშია გატარებული. სანამ მათი დედა აზრის განხილვას შევუდგებოდეთ, ჩვენ მივუთითებთ მწერალს ერთ ნაკლულევანებაზე, რომელიც მის მოთხრობებს ეტყობა. ავტორის უმთავრესი ყურადღება დედა აზრსა აქვს მიქცეული, მისი მიზანი მხოლოთ ის არის, რომ ერთი დასახული იდეა გაატაროს მოთხრობაში, მომქმედი პირები კი უყურადღებოთ ურჩება, რაც ზიანს აძლევს მოთხრობის სამხატვრო ღირსებას და ამიტომ შესაფერ შთაბეჭდილებასაც ველარ ახდენს მკითხველზე. როდესაც პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მეცნიერი ნათლათ და გარკვევით გაატარებს თავის ნაწერებში რაიმე იდეას, თუნდა ნაწერი მშრალი და სქემატიურიც იყოს, მკითხველი მაინც კმაყოფილია, ოღონდ იდეა ნათლათ გამოსჭვივდეს და საკმარისი მოსაზრებებითაც იყოს დასაბუთებული. სულ სხვა არის მწერალი-მხატვარი: ის აზროვნებს მხატვრულათ ე. ი. სურათების შემწეობით, როგორც ბელინსკი ამბობდა, ამიტომ მისი აზროვნება მით უფრო მძლავრია, რამდენიც უფრო რელიეფურათ არის დახატული მისი სურათები; მის მიერ გატარებული იდეა მით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რამდენიც უფრო სრულათ არის დახასიათებული ამ იდეის მატარებელი ან მისი დასაბუთებისათვის გამოყვანილი მომქმედი პირები.

ამ მცირე შენიშვნის შემდეგ ჩვენ გადავალთ მოთხრობების ღირსებაზე. როგორც უკვე მოვიხსენეთ, საუკეთესოთ მიგვაჩნია „ბედნიერება“ და „იდეალი და ცხოვრება“. პირველ მოთხრობაში ავტორმა დაგვიხატა ორი სხვა და სხვა ბუნების და მოთხოვნილების ადამიანი — მატა და რუსო. ორივე ახალგაზდა ქალია, ორივე ახლა აპირობს ცხოვრებაში ფეხის შედგმას, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის! პირველი არის მშვიდობიანი, აუშფოთებელი ბუნების; მას გული იმდენათ უცემს, რამდენათაც საჭიროა სისხლის ნელი, აუჩქარებელი ტრიალისათვის; სისხლის დუღილი, მძლავრი, შეუჩერებელი მისწრაფება რაიმე მიზნისაკენ მას არ უგრძვნია, არ გამოუცდია და ვერც იგრძნობს, რამდენი ხანიც უნდა იცოცხლოს. მასა აქვს მხოლოთ იმდენათ მგრძნობიარე ნერვები, რამდენიც საჭიროა წყნარი, მყუდრო ცხოვრებისათვის; აღელვება, აშფოთება, აფეთქება მან არ იცის, რა არის, რადგანაც არ უგრძვნია, არ გამოუცდია და ვერც ოდესმე გამოცდის: ამგვარია მისი ბუნება. მთელი მისი აზროვნება ყოველ დღიურ წვრილმანებშია გაფანტული, მას არ შეუძლია მთელი თავისი ფიქრი, აზროვნება ერთათ შეკრიბოს, ერთ ფოკუსში მოათავსოს და სხვა ყოველივე მცირე ხანს მაინც დაივიწყოს. თავდავიწყებული სიყვარული ვისიმე ან რისიმე მას არ შეუძლია: „არაფერი მაგგვარი მთელ ჩემ სიცოცხლეში არ გამომიცდიაო“, გულახდილათ გვატყობიებს ის. რანაირ ბედნიერებაში ან უბედობაშიც უნდა ჩავარდეს, მას არაოდეს არ დაებადება თავში ასეთი კითხვები: რა არის ცხოვრების მიზანი, ღირს რათმე თუ არა ჩემი სიცოცხლეო. მე დავიბადე, მაშასადამე ყოფილა ცხოვრების მიზანი, მე ვცოცხლობ, მაშასადამე სიცოცხლეს ფასი ჰქონიაო, გიპასუხებსთ ის; შეიძლება მას გაუტყდეს გული, მაგრამ სასოწარკვეთილებამდის კი არაოდეს არ მივა; შეიძლება, არაოდეს არ გახდეს ცხოვრების დიდი კმაყოფილი, მაგრამ უმადურიც არ იქნება. ცხოვრებას ის ბევრს არაფერს თხოვს: კმაყოფილია მით, რასაც ცხოვრება აძლევს. მას არ რწამს სრული, ღრმა ბედნიერება და არც ეძებს მას ცხოვრებაში. ჩააყენეთ ის მყუდრო ცხოვრებაში, მიეცით მისი მშვიდობიანობის დარაჯი — ქმარი, გახდება ის რამოდენიმე შვილის დედა და მეტს აღარას ითხოვს, კმაყოფილი იქნება თავისი ხვედრის. თუ კითხავთ: ხარ, მატა, სრული ბედნიერიო? — ის გიპასუხებსთ: სრული ბედნიერება არ არსებობს და ამიტომ არც მე ვარ, მაგრამ ბედს არ ვემდურიო. ის დაემორჩილება ცხოვრებას, მთელ თავის ზრუნვას, ფიქრს, აზროვნებას, მოქმედებას მარტო თავის თავს და საკუთარ ოჯახს შემოახვევს გარშემო, იცხოვრებს ასე მძინარათ, პასსიურათ, სანამ გული ცემას არ შეწყვეტს, მოკვდება და ჩვენი ცხოვრების რომელიმე გულ შემატკივარი ქებითაც გამოეთხოვება: შენ იყავი ნამდვილი ოჯახის დედა, ღმერთმა გაგვიმრავლოს შენისთანა დედების რიცხვიო, თითქოს უამისოთაც გამრავლებული არ იყოს, თითქოს გვყავდეს სხვანაირი დედები!

რუსო მთელი თავისი სულიერი არსებით მატას წინაამღდეგი ტიპია. ის არის მეტათ ცოცხალი ბუნების, მის ძარღვებში ადუღებული სისხლი მოძრაობს. მყუდრო, აუშფოთებელი ცხოვრება მას არ შეუძლია, არც უნდა. მას არ შეუძლია პასსიურათ ცხოვრება, მას უნდა მოქმედება, მას უნდა

[1]) რამდენიმე უხერხულობას წარმოადგენს, რასაკვირველია, ჩვენივე თანამშრომლების ჩვენ გაზეთშივე დაფასება, მაგრა რას იზამთ, როცა სხვა ორგანოები ხმას არ იღებენ და სერიოზულ მსჯელობას რომელიმე მწერლის შესახებ ვერ ახერხებენ. ამიტომ ისევ ჩვენ უნდა შევეხოთ, როგორც იმათ თანამშრომლებს ისე ჩვენსასაც და შევეხოთ ერთნაირათ, ერთნაირი მიუდგომლობით. თავისთავის კრიტიკა ყველა კრიტიკაზე მაღლა დგას.

რედ.

თავი დაიკმაყოფილოს ცხოვრებაში, გამოხატოს, გამოააშკარავოს რაშიმეის სულიერი ძალა, ის ენერგია, რომელიც მისთვის ბუნებას ურგუნებია. ის არ არის ცხოვრების ყურმოჭრილი მონა, არც ოდესმე დაემორჩილება ცხოვრებას; ის მისდევს მხოლოთ თავის სულიერ მოთხოვნილებას, თავის შინაგან გულის თქმას. მას არ უნდა იცხოვროს მხოლოთ ერთფეროვანი ცხოვრებისათვის,—ასეთი ცხოვრება მას სრულიად არ იზიდავს; მას არ შეუძლია, ცხოვრების წვრილმანებში დაფანტოს მთელი თავისი არსება; მისი ბუნება ითხოვს აშფოთებულ, აღელვებულ ცხოვრებას; თუ დაისახა რაიმე მიზანი, ის ყოველიფერს დაივიწყებს, მთელი თავისი ბუნებით, აზროვნებით ამ ერთი მიზნისაკენ გაეშურება, არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდება, ვერაფერი ვერ შეაფერხებს: ის ყოველივეს დაძლევს და მიაღწევს თავის მიზანს, ან მიზანს შეწირავს ყოველიფერს,—სიცოცხლესაც კი. მას შეუძლია გატაცებით სიყვარული და ამიტომ კიდეც რწამს თავდავიწყებამდის გატაცება. ის მხოლოთ ასეთ ცხოვრებაში ჰხედავს სრულს, ჭეშმარიტ ბედნიერებას, სიცოცხლე მარტო სიცოცხლისათვის მას არ მიაჩნია ბედნიერებათ. მას ვერ იმორჩილებს ცხოვრება, ის თვითონ იმორჩილებს ცხოვრებას. ის არ არის მონა ფორმალური ზნეობის: დეე ყველა კიცხავდეს თავისუფალ სიყვარულს, ის არ შეუშინდება სხვის კიცხვას, რადგანაც ამგვარ სიყვარულში ის უზნეოს არაფერს ხედავს. მას შეუძლია გაცილებით მეტი სისაძაგლე ჩაიდინოს, ვიდრე მატას, სამაგიეროთ მას შეუძლია ისეთი გმირობის გამოჩენაც, რისი შესაფერი ძალაც მატას არ მოეპოება.

აი რა სხვა და სხვა გვარათ ესმისთ ამ ორ ადამიანს ცხოვრების მიზანი, სულიერი წყურვილის დაკმაყოფილება და ბედნიერება, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ეძებს ცხოვრებაში. ნამდვილათ კი რომელი უფრო ბედნიერია? საქმე იმაშია, ვის როგორ ესმის ბედნიერება. ჩაიხედეთ ახალგაზრდა ვაჟის გულში და აი რას ამოიკითხავთ: ლამაზი, მოსიყვარულე ცოლი, იმდენი შეძლება, რომ ყოველგვარი მოთხოვნილება გაუჭირვებლათ დაიკმაყოფილოს, ორიოდე ფუნჩულა ბავში,—მორჩა და გათავდა! თუ ეს აუსრულდა; სრული ბედნიერი იქნება. მართალია, პირველ ხანებში შეწუხდება, როდესაც სამშობლოს სამსახური სანეხველაზე დაურჩება, მაგრამ ამგვარ მწუხარებას ერთობ მალე ამორეცხავს ხოლმე დღევანდელი ადამიანის გულიდან საკუთარი ბედნიერება. ჩაიხედეთ ახალგაზდა ქალის გულში და იქაც მხოლოთ იმას ამოიკითხავთ, რისი მაძებარიც მატა არის ცხოვრებაში. ჩვენი ქალების უმრავლესობა მხოლოთ მატას წარმოადგენს, მითია კმაყოფილი, რითაც მატა, მარტო მას ეძებს ცხოვრებაში, რასაც მატა. ასეთი პირები ხშირათ ჰპოებენ ბედნიერებას, მაგრამ მათი ბედნიერებით საზოგადო ცხოვრებას იოტის ოდენიც არა ემატებარა. მათ არ შეუძლიათ, ცხოვრებას შეძინონ რამე, ცხოვრება წინ წაწიონ თავისი ნებით, თავისი სურვილით; მხოლოთ პასსიური მოქმედებისათვის არიან გაჩენილი, აქტიური მომქმედნი კი რუსოსთანა ბუნების პირნი არიან. თუ ადამიანმა მთელი თავისი არსება არ შეწირა დასახულ მიზანს, ის ვერ განახორციელებს მას. ვისაც არ შეუძლია თავდავიწყებით სიყვარული, ძვირათ მიაღწევს საყვარელ საგანს; ვისაც არ შეუძლია თავდავიწყებით გატაცება, ის ვერ მოუტანს საზოგადო საქმეს შესამჩევ სარგებლობას და, კიდეც რომ სურდეს ასეთი სარგებლობის მოტანა, ძალიან სუსტ თანაგრძნობას ჰპოებს: როგორ აღაფრთოვანებს, როგორ გაიტაცებს სხვას ისეთი ადამიანი, რომელსაც თითონ არ შეუძლია გატაცება? მატასთანა პირები მხოლოთ საკუთარი ბედნიერებისათვის ზრუნავენ, საკუთარი კეთილდღეობის მეტს ისინი თითონ, თავის თავათ არაფერს ეძებენ ცხოვრებაში; საზოგადო კეთილდღეობის ზრუნვაში, საზოგადო საქმეში კი ისინი სხვას თუ გაჰყვებიან უკან, თორემ თითონ მეთაურობა არ შეუძლიათ. სულ სხვა არიან რუსოსთანა ბუნების პირნი; მათ შეუძლიათ თავისი თავი დაივიწყონ და მთელი თავისი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს ანაცვალონ. კერძო ცხოვრებაში ისინი ხშირათ უბედურნი არიან, მაგრამ საზოგადო კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ჰპოებენ ხოლმე თავის ბედნიერებას. მაშ რომელია უფრო ბედნიერი, მკითხველო? ნატვრას რომ გასავალი ჰქონდეს, მე კი რუსოს ბუნებას ვინატრებდი და შენი კი არ ვიცი. სამწუხაროთ ჩვენ ცხოვრებაში მატასთანა პირები ძალიან ბევრია. რუსოსთანა კი ძალიან ცოტა. თვით ჩვენი ცხოვრება არ არის ჯერჯერობით იმდენათ ნიადაგ მომზადებული, რომ რუსოსთანა პირებს საშუალება მიეცეს, თავისი სულის სიძლიერე, მოქმედების წყურვილი გამოაშკარაონ. ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ რუსოს გატაცება ჯერჯერობით მარტო სიყვარულში იხატება.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

## საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში.

(დასასრული [1])

რუსეთის მთავრობის დაფუძნებით საქართველოში მოისპო ფეოდალიზმი პოლიტიკურათ, ე, ი. ქართველმა თავად-აზნაურობამ, როგორც ფეოდალურმა წოდებამ, დაჰკარგა ყოველგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა სახელმწიფო საქმეების მართვაში. მაგრამ ახალი მთავრობა არ შეხებია ფეოდალიზმის ეკონომიურ და სოციალურ საფუძველს, ე. ი. ბატონყმურ ურთიერთობას, ურთიერთ დამოკიდებულებას

[1]) იხ. ,,კვალი‘‘ № 2.

ბატონსა და ყმას შორის. ამ გარემოებას მოჰყვა მეტად ცუდი შედეგი გლეხკაცობისთვის. ფეოდალური თავად-აზნაურობის სარბიელს შეადგენდა ომიანობა, რაშიაც ის ემზადებოდა პატარაობიდანვე და რაშიაც ატარებდა მთელ თავის სიცოცხლეს. ის ვერ ძლებდა შინ, მისთვის არ არსებობდა არც მეურნეობა, არც სხვა რაიმე საქმე, გარდა სამხედრო იარაღისა. სხვა რაიმესთვის ხელის შეხება მისთვის სათაკილო იყო. როგორც ვიცით, ასეთი მდგომარეობა ახალმა მთავრობამ სამუდამოთ მოსპო, წინანდელი სამხედრო წესების მაგივრათ სხვა იქნა შემოღებული და სამხედრო საქმე მხოლოთ უმცირესობისთვის შეიქნა ხელმისაწვდენი. ამის გამო თავად-აზნაურობის უმრავლესობა ძალა-უნებურათ შინ მოემწყვდა, სოფელში დაბინავდა და მთელ თავის ძალ-ღონეს და ნიჭს, რომელსაც წინეთ ომიანობაში ხარჯავდა, ახლა იმას ანდომებდა, რომ ყმებს სავსებით შეესრულებიათ თავისი მოვალეობა მის წინაშე. რადგანაც გლეხკაცობისაგან შემოსავალი შეადგენდა თავად-აზნაურობისათვის ცხოვრების ერთად ერთ წყაროს, ამიტომ მისთვის საჭირო იყო იმის გაგება, თუ სადამდის აწევდა თავად-აზნაურობის უფლება ყმებზე. ერთი მხრით ვახტანგ VI კანონმდებლობამ, რომელიც ამ მხრით სრულ თავის ძალაში იყო, და მეორე მხრით გამოცდილებამ თავად-აზნაურობა იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ მისი ეკონომიურათ ბატონობა გლეხკაცობაზე უსაზღვრო იყო [2]. ამას დაერთო კიდევ ის გარემოება, რომ ევროპასთან დაახლოვებამ თავად-აზნაურობას გაუჩინა მრავალი ახალი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება დიდ შეძლებას და ფულს თხოულობდა. თავად-აზნაურობის შეძლება კი მისი ყმების ქონება და შეძლება იყო. ამიტომ გლეხ-კაცობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაჭირდა, და ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება საშინლათ გამწვავდა. კეთილშობილი წოდებაართმევდა გლეხს რაც კი ებადა და როცა მისი შემოსავალი აღარ ჰყოფნიდა, ჰყიდდა ან აგირავებდა ყმას. მეტ განსაცდელში ჩავარდა ამ მხრით იმერეთის გლეხ-კაცობა, სადაც ცხოვრობდა შედარებით წვრილი თავად-აზნაურობა. საქმე იქამდის მივიდა, რომ იქ სადაც ბუნება უხვათ აჯილდოებს ადამიანის შრომას, ხალხი შიმშილისაგან იხოცებოდა. შეწუხებული ხალხი წინანდელსავით გარბოდა ოსმალეთში, მაგრამ უფრო კი აღმოსავლეთ საქართველოში. [3]) ამ ხანებში განვითარდა სხვათა შორის თავად-აზნაურის ორი ტიპი: ერთი მხრით უნიჭო მუქთა ყლაპია, ზარმაცი და ყოვლათ უმსგავსი ლ. თათქარიძის და მეორე მხრით ქარაფშუტა მოქეიფე მუხლავაძის, რომელსაც აღარა აბადია-რა, არც ქონება და არც სწავლა. პირველი ტიპის წარმომადგენელნი ჩქარა ამოწყდენ, მეორესი კი ისევ დახეტიალობენ.

მაგრამ მეორმოცდაათე და მესამოცე წლებში ბატონ-ყმობის დღეები უკვე დათვლილი იყო. ბატონ-ყმური ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება ნიშნავდა მის აღსასრულს. ადამიანურმა გრძნობამ დაიკვესა გაყვლეფილ და მიწასთან გასწორებულ ყმებში მათ უნებურათ. ბევრი ყმა ფულის საშუალებით ახერხებდა თავის დახსნას ბატონის მტარვალობისაგან. ეს პირობები აღმოცენდენ ეკონომიურ ნიადაგზე, ე. ი. ევროპიდან შემოტანილმა საქონელმა თანდათან შეასუსტა ადგილობრივი ნატურალური წარმოება; აღებ-მიცემობა და ვაჭრობა გაძლიერდა, ჩაისახა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საფუძველი; მაშასადამე თვით ცხოვრებამ უარჰყო ბატონ-ყმობა. ამას მოჰყვა მისი გაუქმება, კანონით, მოსპობა იურიდიულათ. 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტი ყმების განთავისუფლებაზე პირველათ ტფილისის გუბერნიისათვის გამოქვეყნებულ იქმნა 1864 წ. 8 ნოემბერს; 1865 წ. გაათავისუფლეს ქუთაისის გუბერნიის ყმები, 1866 წ. სამეგრელოს და 1871 წ. სამურზაყანოს. გლეხთა განთავისუფლებამ გამოიწვია სასოფლო მართველობათა ახალი წესების შემოღება, რომელნიც დღეს არსებობენ; შემდეგ, სახელდობ, 1868 წ. (19 თებერვალს) შემოღებულ იქნა 1864 წლის ახალი, **სამოსამართლო დებულებანი**, ნაფიც მსაჯულთა გამოკლებით, რამაც გამოიწვია საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო პოლიციის დაწესებულებათა გადაკეთება. ამავე ხანებში შემოდის ჩვენში რუსეთის საალებ-მიცემო, საქციზო და სადამოჟნო დებულება, და საზოგადოთ საქართველოს მთელი შინაური მართვა-გამგეობა, ნაფიც მსაჯულთა და საერობო დაწესებულებათა გარდა, თანდათან უახლოვდება რუსეთის გუბერნიების მართვას. ამ ხნიდან გზების გაყვანას განსაკუთრებითი ყურადღება მიექცა; მრავლდება საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებანი (პირველათ ჩვენში ტელეგრაფით შეერთებულ იქმნა ფოთი და ტფილისი 1860 წ. 5 ოქტომბერს). მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო **რკინის გზის** გაყვანა ფოთსა და ტფილისს შუა, რომელზედაც მოძრაობა გაიხსნა 14 აგვისტოს 1871 წ.

გლეხების განთავისუფლებით და რკინის გზით იმერ-ამერის შეერთებით იწყება სრულიად **ახალი ხანა**, ის, რასაც **განახლებული ცხოვრება** ეწოდება. მეცხრამეტე საუკუნის ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ისე შეიცვალა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ ახალი თაობა, აღზრდილი ამ ხნის განმავლობაში, გაკვირვებით ტყობულობს თუ რა ამბები ხდებოდა ჩვენში 30 წლის წინეთ. რა მხრითაც უნდა შევხედოთ ჩვენ ცხოვ-

---

[2]) იხ. Донесеніе тел. дворянъ верхов. Грузин. Правительству 1826 г. 30 Апрѣля, въ Актахъ Ар. Ком' т. VI, ч. I, стр. 82—84.

[3]) იმერეთიდან გამოქცეულ ყმების თავშესაფარ ალაგათ უმეტესათ გადაიქცა ტფილისი. მთავრობა ღებულობდა ამის წინააღმდეგ ზომებს, მაგრამ ამაოთ. **იმერელი ბიჭი** ტფილისში და იმერელი **მეზალე** ქართლ-კახეთში—ეს მთელი ისტორიული ეპოქის დამახასიათებელი მოვლენაა.

რებას, ყოველგან განახლებას და გაუმჯობესებას შევამჩნევთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ აქ ნაკლულევანებას არ ვხედავდეთ ან ყოველსავე არსებულს ვაქებდეთ. ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ხალხმა პირველათ იგრძნო თავისუფლება, თანდათან წელში გაიმართა, თვალები გაახილა. ახლა მას შეეძლო თავისუფლათ წასვლა-მოსვლა, თავისუფლათ ცხოვრების სახსარის გამოძებნა. რკინის გზებმა, ფოსტა-ტელეგრაფებმა, წარმოების ახალმა მიმართულებამ და მასში სრულიად ახალ დარგთა გაჩენამ მის მოქმედებას, მის ძალ-ღონის ხარჯვას, მის ტვინის და ნერვების მუშაობას ფართო სარბიელი მიანიჭეს. ამ გზით იშვა და განვითარდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, წოდებული კაპიტალისტურათ...

ამნაირათ ახალი ხანა დაიწყო ეკონომიური ცვლილებით, რომელმაც გამოიწვია საზოგადოებრივი და იურიდიული ზედ-ნაშენის ცვლილება. ამას მოჰყვა ხალხის გამრავლება, მისი გონებრივათ წარმატება, სწავლა-განათლების გავრცელება, ლიტერატურის აღორძინება. წინეთ არა თუ ეს არ იყო არამედ სრულებით საჭირო არ ყოფილა. სწავლა-განათლება და ჟურნალ-გაზეთები დღეს აუცილებელ საჭიროებათ გარდაიქცა, არსებით კითხვათ შეიქნა. 1855 წელს ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში ყველა მოსწავლეთა რიცხვი მთავრობის და კერძო სასწავლებლებში 2652 იყო, მაგრამ ამაში ნახევარზე ბევრათ მეტი სხვა ერების მოსწავლენი იყვნენ. 1898 წელს კი მარტო ქართველ მოსწავლეთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში 26,243 იყო. ამ რიცხვში არ შედის სასულიერო სასწავლებლებლებში, რუსეთში და საზღვარ გარეთ მოსწავლეთა რაოდენობა.

რა თქმა უნდა, ამ საერთო წარმატებაში და ზრდაში საქართველოს სხვა და სხვა ნაწილები ერთნაირ მონაწილეობას არ ღებულობენ. ამ ახალ ხანაში იმერეთის [4]) ხალხმა გამოიჩინა გასაკვირველი ენერგია და შესაფერი მოქმედება. იმერეთი დღეს ის აღარ არის, რაც ამ ოცდათი წლის წინეთ იყო, და მოსალოდნელია, რომ ის ისევ დაიბრუნებს კოლხიდის დიდებას. იმერელი გლეხი, რომელიც 30 წლის წინეთ მიწასთან გასწორებული იყო, დღეს ცხოვრების ყველა სარბიელზე თანამედროვე მოქალაქეობას ეწაფება. ასეთია ის ყველგან, შინ თუ გარეთ. მაგრამ ეს არ ითქმის ქართულ-კახეთის გლეხკაცობაზე, რომელიც ჩაბღაუჭებია ხელის გულის ოდენა მიწას და ვერა გზით მას ვერ მოშორებია. ასეთი მისი მდგომარეობა მეტათ გამოსადეგი შეიქნა თანამედროვე მსხვილ მემამულეთა და ყველა კატეგორიის მოვახშეთათვის.—არის კიდევ ერთი პატარა კუთხე, რომელსაც ბატონ-ყმობის უღელი არ გამოუცდია და რომლის გლეხ-კაცობა ეკონომიურათ შეძლებულ კლასს წარმოადგენს, მაგრამ მოქალაქობრივი გრძნობის გავითარებით, სწავლა განათლების გავრცელებით, ის ქართლ-კახეთზედაც ჩამორჩენილია,—ამ კუთხეს ქვია *ქიზიყი*. რა გინდ კარგ პირობებში ჩავარდეს ეს კუთხე, რა გინდ ის დაწინაურდეს გონებრივათ, ის კიდევ დიდ ხანს კონსერვატორთა ბუდე იქნება. ამის მიზეზების დასახელება ჩვენ შორს წაგვიყვანდა. აქ შევჩერდეთ.

ამნაირათ საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაიყოფება ორ ხანათ: პირველი გრძელდება ბატონ-ყმობის იურიდიულათ გაუქმებამდე და რკინის გზის გაყვანამდე და შეიცავს 65—70 წელიწადს; მეორე იწყება მესამოცდაათე წლებიდან. ეს ორი ხანა არ გვანან ერთმანეთს. პირველში საქართველოს ცხოვრებაში არაფერი გამორკვეული არ არის; ძველი და ახალი დომხალივით ერთი ერთმანეთში არეულ-დარეულია. მაგრამ ამ დროს ხალხის ცხოვრებაში ხდება ერთგვარი მუშაობა, თანამედროვეთაგან სრულიად შეუმჩნეველი, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო ბატონყმობისათვის. აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ გაუქმდა თუ არა კანონით ბატონ-ყმობა, გარდა თავად-აზნაურობის რამდენიმე ნაწილისა, ყველა ამ რეფორმას უზომო სიხარულით და აღტაცებით მიეგება, და თვით ქვეყანაც ერთბაშათ გამოიცვალა, სრულიად სხვა ფერი მიიღო. ასე იყო თუ ისე მესამოცდაათე წლებში ქართველი ხალხი სამუდამოთ გამოეთხოვა ძველ საქართველოს. აქედან იწყება განახლებული ცხოვრება, რომელიც ევროპის კულტურის შეთვისებაში მდგომარეობს. აი ეს ანდერძი გადაეცა მეოცე საუკუნეს.

ფ. მახარაძე.

---

## მარად სახსოვარ გიორგის.

ნეტარ ხარ შენა სამარადისოთ,
მამულიშვილო დაუვიწყარო,
შენი ნაღვაწით, ცხოველ-მყოფელით,
ვით მთით ნაკადი უშრეტი წყარო.
შენ იმ თავითვე მედგრათ გამოდი
ჩვენი ცხოვრების ბრძოლისა ველზე
და შენი თავიც მსხვერპლათ დადევი
საქვეყნო დიად საკურთხეველზე.
ის მრავალ-მხრივი ნაშრომნი შენნი
განცვიფრებასა კაცში ჰბადებენ
და მე რაღა ვთქვა: ისინი ჩემზე

4) იმერეთ-გურია,—სამეგრელოს ამ სიტყვაში ვაერთებთ.

მშვერმეტყველურათ თვით დაღადებენ.
დღეს ვალ-მოხდილი წარსდეგ პირ-ნათლათ,
აღმსრულებელი დიად მცნებისა,
ღირს წინაპრებში ჭშოვე ადგილი,
აქ კი—გვირგვინი უკვდავებისა.

დ. თომაშვილი.

## ექიმთა დავა.

იმერეთის ორი ექიმი, ბ. ნაზაროვი და ბ. ვ. ლამბაშიძე, ერთმანეთს ედავებიან. დავა ასტეხა ბ-ნ ლამბაშიძის წერილმა, რომელიც ვრცლათ დაიბეჭდა „მწყემსში", ხოლო მოკლეთ „კვალში'' (№ 50). ჩვენ ამ წერილს შენიშვნა გავუკეთეთ, საპასუხო წერილსაც დავბეჭდავთქვა. და აი, 23 თუ 24 დეკემბერს კიდევაც მივიღეთ ბ. ნაზაროვისაგან ვეებერთელა საპასუხო წერილი, ე. ი. მივიღეთ მაშინ, როცა გასული წლის—,,კვალი''-ს უკანასკნელი ნომერი უკვე აწყობილი და დაბეჭდილი იყო (გამოვიდა 24-ს საღამოს). ცხადია, ნაზაროვის წერილი უნდა გადმოგვეტანა ამ წლის ნომერში და რადგანაც პირველი ნომრები საახალწლო ნომრები იყო, ამისთვის გადავწყეიტეთ ნაზაროვის პასუხი გაგვეშვა მეოთხე ნომერში, რაიცა მას თავის დროზე ტელეგრამით ეცნობა. მაგრამ ამ დროს უბედურება გვეწვია და იძულებული შევიქენით ,,კვალი''-ს ჩვეულებრივი მასალა გადაგვედვა და ორი სამგლოვიარო ნომერი (№ 3, 4) გამოგვეშვა. ბ-ნ ნაზაროვის წერილი კი გადაიდვა მეხუთე ნომრისათვის და ის იყო იწყობოდა რომ ის ,,ივერია''-ში (№ 19—20) გამოვიდა, ავტორის შენიშვნით: ,,კვალმა'' არ დაბეჭდაო! ამოდენა ცილის წამებას თუ ბ-ნი ნაზაროვი იკადრებდა არ გვეგონა. როდის იყო, ბ-ნო ექიმო, რომ უარი გითხარით? და ნუ თუ სამგლოვიარო წერილები უნდა გადაგვედვა და იმათ მაგიერ თქვენი წერილი დაგვებეჭდა? რომელი მართებული კაცი მოითხოვს ამას? იმედია, აგვიხსნით მიზეზს ამ ცილის წამებისას, ხოლო მანამდის კი ეგ თქვენი ზრდილობა თქვენვე დაიბრუნეთ,

ახლა გადავიდეთ თითონ დავის საგანზე. უნდა გამოვტყდე, ბ-ნ ნაზაროვის ასეთ ცილისწამების შემდეგ, უნებურათ მის საბუთებზედაც ეჭვი მებადება, მაგრამ მიუხედავათ ამისა საჭიროთ მიგვაჩნია ის გავაცნოთ მკითხველს. ბ-ნმა ლამბაშიძემ მის წინაღმდეგ ორი ბრალდება წამოაყენა: პირველი, ბ-ნმა ნაზაროვმა აცნობა რკინის გზის უფროს ექიმს, ექიმი ლამბაშიძე ჩვენში არ არსებობსო; მეორე, მუშა გეწაძე, რომელიც ლამბაშიძემ ყურის ტკივილისაგან გაათავისუფლა, ავათ არ იყო და თუ ყურში მწერი უნახეს—ეს უთუოთ მისივე ხელით ჩასმულიაო—უცნობებია ბ-ნ ნაზაროვს იმავე უფროსისათვის. აი ამ ორ ბრალდებას ეხება ბ-ნი ნაზაროვი თავის პასუხში, პირველს სრულიად უარჰყოფს, ხოლო მეორეს ასაბუთებს. როგორც ოფიციალურ მიწერ-მოწერიდან ჩანს, ბ-ნ ნაზაროვს მიუწერია: ,,ბ-ნ ლამბაშიძესთან მე პირადი ნაცნობობა არა მაქვს, ვიცი მხოლოთ რომ დიდიხანი არ არის, რაც იგი ყვირილაში ჩამოვიდა'' და სხ. აქედან ცხადია ბ-ნ ნაზაროვს ბ-ნი ლამბაშიძის არსებობა არ უარუყვია. რაც შეეხება მუშის ავათმყოფობას, ბ-ნი ნაზაროვი იმ აზრისაა, რომ მან ეს მოიგონა სამუშაოდან გასათავისუფლებლათ და როგორც მუშების უფროსის მოწერიდან ჩანს, ის ზარმაცი და უსაქმოთ ჯდომის მოყვარული იყოვო. მაგრამ მეორე მხრით, ლამბაშიძე ირწმუნება რომ გეწაძე რამდენსამე დღეს ყოფილა ავათ და როცა ჩემთან მოვიდა ტკივილებისაგან დიდათ შეწუხებული იყოვო როგორც, ხედავთ ეს ორი ექიმი სრულიად სხვა და-სხვა აზრს დებენ, ერთ და იმავე პირის ავათმყოფობას და ეს უფრო იმით უნდა აიხსნას. რომ ავათმყოფობა ერთმა ვერ გამოიცნო, ხოლო მეორემ გამოიცნო, რაც ასე ხშირია ექიმებთა შორის. შეიძლება ეს ავათმვოფობა ბ. ნაზაროვმა ვერ გამოარკვია, ხოლო ლამბაშიძემ გამოარკვია, სხვა შემთხვევაში შეიძლება, ის რასაც ლამბაშიძე ვერ გამოარკვევს, ნაზაროვმა გამოარკვიოს. ამისთვის არც ერთა სასაყვედურო არ არის, რატომ ყველაფრის მცოდნე ექიმი არ ხარო. აი ეს რომ ეთქვა ბ ნ ნაზაროვს—მას ვერც ვერავინ უკიჟინებდა და საქმეც ნათელი იქნებოდა. მაგრამ ვთქვათ, მუშამ თითონ ჩაისვა ყურში მწერი ე ი. თითონ აიტკივა ყური. მერე? მერე ის რომ მას ყური ატკენია და მაშასადამე ექიმიც მოვალე იყო ყურის ტკივილის მოწმობა მიეცა.

ერთი სიტყვით, ექიმ ნაზაროვს ექიმი ლამბაშიძის არსებობა უარი არ უყვია, ხოლო გეწაძის ავათმყოფობის მოგონებას, მაშასადამე ლამბაშიძის მოწმობის სიყალბეს ვერ ამტკიცებს. ამ ორ მთავარ კითხვებთან მიწებებულ-მოწებებულ გარემოებებს აქ არ ვეხებით [1].

## წერილები საფრანგეთიდან.

### დღევანდელი პარტიები და მიმდინარე პოლიტიკა.

I

მკითხველს ეცოდინება, რომ უმაღლესმა სასამართლომ, როგორც იყო გაათავა გაუთავებელი შეთქმულობის პროცესი. 4 იანვარს წაუკითხა განაჩენი ბრალდებულთ. შეთქმულობის სამი უმთავრესი გმირი პოლ დერულედი, ბიუფე და ჟიულ გერე აღიარა პოლიტიკურ დამნაშავეთ; აჰყარა ყოველივე პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი უფლებანი და მიუსაჯა: პირველ ორს ათი წლით სამშობლოდან გაძევება, უკანასკნელს ათი წლით საპყრობილე საფრანგეთის ერთ პროვინციაში (კლერკო), ათი წლით გაძევება აგრეთვე დელიურ-სალურს; დანარჩენი ბრალდებულნი, დასახელებულ გმირთა სანჩო-პანსოები, მათი ამყოლ-დამყოლნი და ერთგულნი თანაშემწენი სრულიად გაამართლა. სასამართლოს აზრით, ამათ საქმით არ მიუღიათ მონაწილეობა რესპუბლიკის წინაალმდეგ შეთქმულობაში. განაჩენის გამოცხადების დროს სენატის წინ ირეოდა სამოცამდე ცილინდროსანი მანიფესტანტი. რამდენმამე მათგანმა გაუბედავათ წამოიძახა: „გაუმარჯოს დერულედს!" „გაუმარჯოს ჯარს!" და როცა პოლიციელნი მიესიენ, მათ მამაცურათ შეუძახეს: „გაუმარჯოს პოლიციას!" პოლიციამ ისინი მალე გაისტუმრა თავ-თავის სახლებისაკენ. მეორე დღეს პრესსის ერთი კატეგორია უსაზღვროთ გაბრაზებული უშვერი სიტყვებით მიმართავდა მთავრობას და წყევლა-კრულვას უგზავნიდა სასამარ-

---

[1]) ეს წერილი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა ,,მწყემსის'' უკანასკნელი ნომერი მივიღეთ, სადაც ბ. ნაზაროვის წერილი და ბ. ვ. ლამბაშიძის პასუხი მოთავსებული.

თლოს, რომ საფრანგეთის უკეთესი შვილნი, უდიდესი პატრიოტები ასე სასტიკათ, ასე ბარბაროსულათ დასაჯაო. პრესსის მეორე ნაწილმა არც კი ათხოვა საკმაო ყურადღება ამ ამბავს, მხოლოთ გაკვრით მოიხსენია და აღნიშნა თავის უკმაყოფილება, რომ სასამართლო ერთობ სუბუქათ მოეკიდა დამნაშავეთო. დერულედი და ბიუფე ამ ჟამათ უკვე საზღვარ-გარეთ არიან, გერენიც მისთვის გამზადებულ საპყრობილეში ზის. დერულედი ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა თავის პარტიას: „მე კვლავ დავბრუნდები საფრანგეთში, როცა თვით სამართლიანობა დაბრუნდებაო“. დასჯილთა მეგობარნიც თავის მხრით არა ჰკარგავენ იმედს: „მალე ისევ ვიხილავთ საპოლიტიკო ასპარეზზე ჩვენ საყვარელ ბელადებსო“.

ვინ არიან ეს ბელადნი და რომელი სამართლიანობა სურთ დააბრუნონ საფრანგეთში?

უმთავრესი ბელადი და გმირთა-გმირი დასრულებული პროცესისა არის დერულედი. ეს მეთაურია პატრიოტების ლიგის (კავშირის) და ბელადი პატრიოტულ-ნაციონალისტური პარტიის. დერულედი თავის თავს აღიარებს რესპუბლიკანელათ და იმავე დროს იბრძვის რესპუბლიკის წინააღმდეგ. დერულედი პირდაპირი პოლიტიკური მემკვიდრეა გენერალ ბულანჟესი. ახლანდელი პროცესი სრული გამეორებაა ბულანჟიზმის. შეცვლილია მხოლოთ მოქმედ პირთა სახელები. ჰგავს პროცესის დასასრულიც კი. მაშინაც 1889 წ. სენატმა დროებით უმაღლეს სასამართლოთ გარდაქმნილმა—უმთავრესი მომქმედი პირი ბულანჟე გამოაცხადა პოლიტიკურ დამნაშავეთ და მოუსპო მას საშუალება რესპუბლიკის წინააღმდეგ ემოქმედნა. ბულანჟეს პარტიას, რომელსაც ეწოდება აგრეთვე ნაციონალისტური პარტია, მხოლოთ ფორმალურათ უნდოდა დაეტოვებია პარლამენტი. ნამდვილათ კი მისი წადილი იყო პარლამენტარული რეჟიმის (წყობილების) მოსპობა. პარლამენტი აცხადებდა—პარტია უნდა განცალკევდეს აღმასრულებელ მთავრობისაგან (pouvoir executif). უკანასკნელი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი პირველისაგან, ე. ი. უკონტროლო გამგე, ნამდვილი უზენაესი ბატონ-პატრონი ქვეყნისა. ამასთანავე ეს აღმასრულებელი მთავრობა უნდა ჩაბარებოდა თვით ღენ. ბულანჟეს. სწორეთ ასეთივეა დერულედის პოლიტიკური იდეალიც. ამ იდეალს იგი უძახის პლებისციტურ რესპუბლიკას. ეს ნიშნავს: პრეზიდენტი უნდა იქმნას არჩეული პლებისციტით, ე. ი. პირდაპირ ხალხისაგან. თავისთავათ ცხადია, რომ ნაციონალისტურმა პარტიამ უნდა იხმაროს ყოველი საშუალება (დაქრთამვა ხარისხოვან თუ არა ხარისხოვან პირთა, ამომრჩეველთა მოყიდვა და სხ). რომ არჩეულ იქმნას დერულედი თუ არა, ისეთი ვინმე, რომელიც შეიძლებს ხელთ იგდოს დიქტატორული, უკონტროლო აღმსრულებელი უფლება. დერულედმა, ისე როგორც საფრანგეთის მთავრობამ, კარგათ იცის ისტორიული გამოცდილებით ნამდვილი ფასი პლებისციტისა. მაგ. 1852 წ. ლუი ნაპოლეონმა, პრეზიდენტათ არჩეულმა, ისარგებლა ამ საშუალებით, რომ მოეხდინა თავისი cout d'ètap, ე. ი. რესპუბლიკის ნაცვლათ დაემყარებინა იმპერია და თავის თავი გამოეცხადებინა ნაპოლეონ მე-III-ეთ, ფრანგების მეფეთ. დერულედის სიმპატიაც აქეთკენ არის. მისი პლებისციტური რესპუბლიკა ნამდვილათ აღნიშნავს მონარქიას.

დაგვრჩა ორი ბელადი: ბიუფე და გერენი. ეს ორი ბელადი ორი ხელია დერულედისა. ხოლო რომელი მარჯვენაა და რომელი მარცხენა, ძნელი გასაგებია. მით უფრო ძნელი, რომ თითონ დერულედი უარჰყოფს არა მარტო იმას, რომ ეს ორი ხელი მისი სისხლი და ხორცია, არამედ თვით ნათესაობასაც კი. მთავრობამ დერულედი და ბიუფე ერთსა და იმავე ეტლში ჩასვა და ორივ ერთათ გაისტუმრა საზღვარ გარეთისაკენ. დერულედს ბელგიის საზღვრამდის არ გაუთავებია ჩივილი: რაღა ჩემ ჰირათ ეს კაციც მე ამაყოლეს; ნეტა რა გვაქ ჩვენ საერთო, ვინ მე, რესპუბლიკანელი, და ვინ ბიუფე, როიალისტ-მონარქისტიო!? დიახ, ბიუფე მონარქისტია. იგი მეთაურია როიალისტ-მონარქისტური პარტიის, ამასთანავე მესაიდუმლე და მეგულისპასუხე ჰერცოგ ორლეანელისა. ეს უკანასკნელი დღემდის გამწარებული ეძებს ჟამთავითარებისაგან დაკარგულ საფრანგეთის ტახტს. და რაკი ფულის მეტი არა გაიჩნიარა, იგი უხვათ უგზავნის თავის პარტიას „სურსათს“. პარტიაც არ ივიწყებს ბატონის პურ-მარილს. არ ზოგავს ენერგიას, უამხანაგდება ყველა რეაქციონულ პარტიებს; აღგენს ბიურო-კომიტეტებს, ახდენს შეთქმულებას და სხ. სასამართლოში გამომჟღავნდა, სხვათა შორის, რომ დერულედს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჰერცოგ ორლეანელთან; მოქმედებდა მონარქიულ პარტიასთან ერთათ და თანახმა იყო, რომ მის პლებისციტურ რესპუბლიკის პრეზიდენტათ ყოფილიყო ორლეანელი. ეს არც არის საკვირველი, რადგან ამ პარტიებ შორის, როგორც ზევით დავინახეთ, არავითარი (არსებითი) განსხვავება არ არსებობს. ლაპარაკობენ ერთსა და იმავეს სხვა და სხვა სიტყვებით, მოქმედებენ ერთ და იმავე საშუალებით, ერთისა და იმავე მიზნის მისაღწევათ. მარა, არც ნაციონალისტები და არც როიალისტები არ არიან ისე გულუბრყვილონი, რომ პირდაპირ უნდოდეთ წარსულის აწმყოში გადმოტანა. არა, მათ სურთ, წარსული, აწმყო სამოსელში გამოხვიონ; მათ სურთ,

ძველი იარალი ახალ მოდაზე დაჰფერონ და ამსახურონ იგი, რასაკვირველია, არა ძველ არისტოკრატიას, არამედ თავის საკუთარ კლასსიურ ინტერესებს. სასამართლოში, სხვათა შორის, ერთმა ბრალდებულმა ასე აღიარა თავის სურვილები: „ის, რაც მინდა, არის მონარქია, მარა მონარქია არა წარსულის, დაყრდნობილი თავად-აზნაურობაზე და სასულიერო წოდებაზე, არამედ მონარქია, შეთვისებული თანამედროვე modus vivendi-სთან. (ცხოვრების პირობებთან) მონარქია სოციალური, ხალხური". ე. ი. პოლიტიკური წყობილება, რომელიც უნდა იყოს ბურჟუაზიის აპოთეოზი, ბურჟუაზიის ბატონობა, რის წინაშეც გამქრალი უნდა იყოს ყველა დანარჩენთა პიროვნობა.

ამავე წმინდა საქმეს ემსახურებოდა გერენი. სადაც კი სიბნელეს ოდნავ შუქი მიადგებოდა, ეს ვაჟბატონი, როგორც ქვესკნელი სული, უმალვე იქ იყო თავისი ამალით, რომ კვლავ ყველაფერი წყვდიადში გამოეხვია და ქვესკნელთა ძალებისათვის მიეცა საშუალება, განეგრძოთ მუშაობა.

გერენი მეთაურია ანტისემიტების და ბელადი ანტისემიტური პარტიის. მკითხველს ეცოდინება ამ პარტიის ლათაიები. იგი ასწავლის, რომ რაც ქვეყანაზე ბოროტებაა, ყველა მოვლინებულია ურიებისაგან [1]). თუ მუშა ხალხი დღეს შევიწროებულია, ითმენს ბევრ უსამართლობას, მოკლებულია ბევრ რასმე, ერთი სიტყვით თუ არსებობს შრომის ექსპლოატაცია, ამის ერთათ ერთი მიზეზი ურიების კაპიტალია. სხვა ტომის კაპიტალი და განსაკუთრებით ფრანგული კაპიტალი—არამც თუ უდიერათ ეკიდება მუშას, არამედ იგი მეგობარია მისი; ვინაიდან, „სადაც კაპიტალი არ არის, იქ არც შრომაა", ასე რომ დღევანდელ სოციალური კითხვის გადასაწყვეტათ საჭიროა ურიები აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა. ხოლო რაკი საფრანგეთის დღევანდელი მთავრობა ვერ შეასრულებს ამ მისსიას, მით უფრო, რომ იგი უკვე გაუამხანაგდა სამშობლოს გამყიდველ ურია დრეიფუსს, ამიტომ დღევანდელი პარლამენტარული რეჟიმი უნდა გაუქმდესო... აი პარტია თავისი გერენით.

პარიჟი. ლ. დ.

---

## საქველმოქმედო საქმე.

### I

ახალქალაქში, მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ, მოგროვდა ხელის მოწერით განჯასა და ახლო-მახლო სადგურებზე 24 მ. 65 კ. ამას გარდა ოცდა ექვს დეკემბერს წირვის დროს სადგურის მღვდელმა მამა ე მირიანაშვილმა მოაგროვა ოთხი მანეთი. სულ 28 მ. 66 კ. 65 კ. გამოგზავნას დამპირდა.

28 მ. გიგზავნით და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

აქვე მომყავს შემომწირველთა გვარები თუ შესაძლებელი იქნება ამის დაიბეჭდოს.

ს. დ—ძე 1 მ. შალიკოვი 20 კ. ლიკშე 20 კ. კიკაურიძე 20 კ. კუსტრაშვილი 50 კ. №№ 20 კ. თოფურიძე 20 კ. ბენდუკიძე 20 კ. გასიშვილი 20 კ. იურჩენკო 25 კ. №№ 15 კ. ლიუბიცნოვი 20 კ. №№ 15 კ. ბორისევიჩ 20 კ. ბაქრაძე 20 კ. მესხი 20 კ. №№ 15 კ. გამყრელიძე 50 კ. კალანდაძე 20 კ. გოგორაშვილი 25 კ. შუბლაძე 40 კ №№ 20 კ. №№ 20 კ. გიგვაძე 20 კ. გვენცაძე 20 კ. ღჯოკაგოია 20 კ. პიჭკარია 10 კ. შუბლაძე 5 კ. ხოჟაკოვი 25 კ. კარასტილიოვ 10 კ. შამოვ 20 კ. №№ 15 კ. ბელიაევ 50 კ. იაშვილი 20 კ. ნოღია 40 კ. ჩხეიძე 20 კ. შუბლაძე 20 კ. გალილი 20 კ. ძიძიგური 20 კ. ალექსანდროვი 25 კ. გოგოხია 30 კ. ჩიკვინიძე 20 კ. ხუციშვილი 25 კ. ა. გ. 30 კ. ნ. მ. 25 კ. კიკნავა 25 კ. ჩოჩია 15 კ. №№ 25 კ. გიორგობიანი 25 კ. წიწვიაძე 20 კ. №№ 20 კ. ჭკუარელი 10 კ. სიხარულიძე 25 კ. მგელაძე 20 კ. კალანდაძე 20 კ. №№ 10 კ. №№ 20 კ. გოცირიძე 20 კ. კუჭუაშვილი 30 კ. კინჩუხისე 20 კ. ცეხაშვილი 10 კ. №№ 50 კ. №№ 15 კ. №№ 20 კ. №№ 15 შენგელია 20 კ. გოგიმერიძე 20 კ. ემელიანოვი 80 კ. ლინდეში 50 კ თევდორაშვილი 20 კ. ნოღია 20 კ. ნიკოლაია 40 კ. №№ 50 კ. №№ 20 კ. ცეხოცკი 1 მ. ზოლოტარიოვი 50 კ. ექიტოშვილი 20 კ. კახიანი 20 კ. №№ 20 კ. №№ 15 კ. კაზიბიროვი 20 კ. თვალაძე 20 კ. კახაძე 20 კ. კუპრაშვილი 20 კ. №№ 20 სტრაუტმანი 1 მ. სულტანოვი 1 მ. რიაზანცევი 50 კ.

ს. დოლიძე.

### II

მე შევაგროვე დარუბანდელ ქართველთა შორის 17 მანეთი და გთხოვთ უმორჩილესათ ეს ფული მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ გაუგზავნოთ. სია შემოძწირველთა: ოლღა ტყემალაძისა 2 მ. ს. აბულაძე 1 მ. ნ. მენაბდე 1 მ. ნ. ცაგურია 5 მან ერმილე თურქაძე 1 მ. ვასილ ფიცხელაური 3 მ. არჩილ თურქაძე 1 მ. ბიქტორ ბუკუჩავა 3 მ.

ნ. მენაბდე.

### III

ჭიათურიდან მივიღეთ ამავე საგნისთვის 3 მ. ილია კაკაბაძისაგან. რედაქციას მიღებული აქვს სულ 48 მ. რომელიც გადაეცემა დანიშნულებისამებრ.

---

## შეცდომის გასწორება

„კვალის" უკანასკნელ ნომერში ნ. ჟორდანიას წერილის სათაურათ დაბეჭდილია „საგულისხმო **გავლენა**", უნდა იყოს „საგულისხმო **მოვლენა**".

---

**შინაარსი**: პრესა ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—კვალის კორესპონდენციები.--ჟურნალ გაზეთებიდან.—მარად სახსოვარ გიორგის, ლექსი დ. თომაშვილისა.—ინგლის-ტრანსვაალის ომი და რუქა—ჩვენი სიტყვა კაზმული ლიტერატურა 1899 წ. ივ. გომართლისა.—*** ლექსი კ. გოგოლაძისა.—საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში [დასასრული) ფ. მახარაძისა.—ექიმთა დავა.—წერილები საფრანგეთიდან ლ. დ—სა.—წერილები რედაქციის მიმართ—საქველ-მოქმედო საქმე და შეცდომის გასწორება.

რედაქტორ.-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

---

[1]) საფრანგეთში, რომლის მცხოვრები 38 მილიონია, ებრაელი მხოლოთ 70,000-ა.

Доз. ценз. Тиф., 29 Января 1900 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა. Тип. Е. И. Хеладзе, Л.-Мелик. ул., № 28.